(i) სს ნამახვანი 2021 წლამდე ეწეოდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სანამ მშენებლობა შეჩერდა. სს „ნამახვანს“ გააჩნია მოთხოვნები (იხ. შენიშვნა 11) შპს „ენკა რინიუაბლზისგან“, საწარმოსგან, რომელმაც ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოს მთავრობასთან ჰესის მშენებლობასთან და მის სამომავლო ოპერირებასთან დაკავშირებით.

(ii) შპს „ბიომას ენერჯი“ ეწევა ალტერნატიული ენერგიის მაღალი პოტენციალის მქონე ალვის ხეების დარგვას და წინასამშენებლო ფაზაში მყოფი ბიომასის ელექტროსადგურის მშენებლობას. 2022 წლის მარტში GEDF გახდა შვილობილი კომპანიის 100%-იანი მფლობელი, რადგან მაჟორიტარმა აქციონერმა, შპს "ჯორჯიან ბიო ენერჯიმ", რომელიც ადრე ფლობდა 71%-ს, ვერ შეასრულა აქციონერთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობები.

(iii) შპს ბორჯომის ელექტროსადგური თავდაპირველად ეწეოდა ბორჯომის ისტორიული ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციას (რომელიც მუშაობდა 1899-1950 წლებში)რათა მას ემუშავა, როგოც ჰესს. თუმცა, შემდგომი კვლევების შედეგად, გამოვლინდა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ირგვლივ არსებული სირთულეები, გადაიხედა პირველადი გეგმა ბორჯომჰესის მუზეუმად რეკონსტრუქციის მიზნით, ტურიზმის მოზიდვის თვალსაზრისით.

(iv) კომპანიის მესაკუთრის 2022 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების შედეგად, შპს „ენგურის ტურისტულ ცენტრში“ ინვესტიცია გატანილია კომპანიის კაპიტალიდან (იხ. შენიშვნა 14).

რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, №21, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს რაც ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კომპანიების გამოწვევების წინაშე დაყენებას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. ჯგუფს არ აქვს პირდაპირი დაქვემდებარება უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფი ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი საქმიანობს.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა. კომპანია ასევე აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად და ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

ფასს-ის შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო ინსტრუმენტების გამოშვებისათვის გაწეული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შეყვანილი მუხლები შეფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც ის საქმიანობს (სამუშაო ვალუტა). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლ“), რომელიც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ოპერაციის ან შეფასების თარიღებზე, სადაც მუხლები წინასწარ არის შეფასებული. მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან მიღებული და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს გაცვლითი კურსით მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი შეყვანილი იმ პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი აქტივებიდან/ვალდებულებიდან მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სავალუტო მოგება(ზარალი), წმინდად“.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საბოლოო სავალუტო კურსებს

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020

ფინანსური აქტივები. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტების“ მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად - „ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით“, „ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“, „ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“.

ჯგუფმა შეაფასა, რომელი ბიზნეს მოდელი იყო საკმარისი ჯგუფის ფინანსური აქტივებისთვის და მოახდინა ისინი კლასიფიკაცია, როგორც „ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით“.

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით. ეს აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), თუმცა ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირ თანხას და პროცენტს. ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები აღიარებულია ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ანარიცხების მატრიცის გამოყენებით. ამ პროცესში ფასდება სავაჭრო მოთხოვნების გადაუხდელობის ალბათობა. ამის შემდეგ ეს ალბათობა მრავლდება მოსალოდნელი ზარალის ოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტისგან, რათა განისაზღვროს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რომლებიც ანგარიშგებულია წმინდად, ასეთი ანარიცხები აღირიცხება ცალკე ანარიცხების ანგარიშში და ზარალი აღიარებულია საოპერაციო ხარჯებში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმის დადასტურების შემთხვევაში, რომ სავაჭრო მოთხოვნა არ იქნება ამოღებადი, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისი ანარიცხიდან.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ყველა საბანკო განთავსებას ან მოთხოვნას და შეზღუდულ ფულად სახსრებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია, ან ისინი შეიძლება გარდაიქმნას ფულად სახსრებად ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება მათი სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აისახება როგორც აქტივები, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და როგორც ვალდებულებები, როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შედის წლის მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური ვალდებულებები. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შეიძლება კლასიფიცირდეს ერთ-ერთი აქ ჩამოთვლილი კატეგორიისთვის - „ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ და „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. ჯგუფმა თავისი ყველა ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება მოახდინა როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები“. ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მათ გამოშვებას. ასეთი პროცენტის მქონე ვალდებულებები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე პროცენტის დარიცხვას მუდმივი განაკვეთით ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების საპროცენტო ხარჯები მოიცავს თავდაპირველ გარიგების დანახარჯებს და ვალდებულების გამოსყიდვის ნებისმიერ დამატებით ხარჯებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები დაფარულია, გაუქმებულია ან ვადა იწურება. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება შეიცვალა სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლისგან, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეცვლილია, ასეთი გაცვლა ან მოდიფიკაცია განიხილება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. . სხვაობა აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მხოლოდ, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

აქტივების გამოყენების უფლება თავდაპირველად შეფასდება საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც შემცირდება ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით, და გაიზრდება :

- საიჯარო გადახდებისთვის, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებისთვის; და
- იმ აღიარებული ანარიცხების თანხებისთვის, სადაც ჯგუფს, ხელშეკრულების მიხედვით, მოეთხოვება საიჯარო აქტივის დემონტაჟი და ლიკვიდაცია, ან აღდგენა.

თავდაპირველი შეფასების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულება იზრდება დაუფარავ ნაშტზე არსებული მუდმივი განაკვეთით პროცენტის დარიცხვის შედეგად და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დარიცხული ცვეთის შედეგად.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონიმიკური მომსახურების ვადის განმავლობაში, თუ ამ უკანასკნელს გააჩნია უფრო მცირე ვადა, ვიდრე საიჯარო ვადას. მიმდინარე და შედარებითი საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში აქტივების გამოყენების უფლებას დაერიცხა ცვეთა 3-6 წლის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისას გაწეულ ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა მათი არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისას.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული გაყიდვის ხარჯებით.

ძირთადი საშუალებები- აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებების მუხლები შეფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან, მუხლების დემონტაჟისა და ამოღების და მათი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯებს.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები (ძირითადი კომპონენტები).

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობების შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წმინდად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები. ძირითადი საშუალებების კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება აღიარებულია მუხლის საბალანსო ღირებულებაში, თუ არსებობს ალბათობა, რომ კომპონენტის შემადგენლობაში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება, და მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებას აღიარება უწყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯების სახით.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან, ან საწარმოს შიგნით შექმნილ აქტივებთან მიმართებაში, აქტივის დასრულების და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას მისი შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების თითოეული მუხლის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან ეს ყველაზე კარგად ასახავს აქტივის შემადგენლობაში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ მოდელს .მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

ჯგუფი	*სასარგებლო მომსახურების ვადა*
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5-10
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღზე და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და ამორტიზდება წრფივი მეთოდი საფუძველზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება მოიცავს პირდაპირ შრომას და ყველა პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯს, რომელიც აუცილებელია აქტივის შესაქმნელად, მისი წარმოებისთვის და მოსამზადებლად, რათა შეძლოს იმუშაოს ხელმძრვანელობის განზრახვისამებრ, ამორტიზაციის ხარჯი შედის სხვა ხარჯებში, მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი. ყველა არამატერიალური აქტივი ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა მარაგებისა, ბასს -36-ის მიხედვით განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მინიშნება. იმის შეფასებისას , არსებობს თუ არა მინიშნება, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი ითვალისწინებს ინფორმაციის გარე და შიდა წყაროებს, მათ შორის მესაკუთრის განზრახვას და შესაძლებლობას, უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა საკუთარ კაპიტალში ან სხვა კაპიტალში განხორციელებული შენატანების მეშვეობით, გარკვეულ კონკრეტულ აქტივებთან, კომერციულად სიცოცხლისუუნარო პროექტებთან და/ან ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებულია მესაკუთრის მითითებების შესაბამისად. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, მაშინ ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური ტესტირება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში, რომლებიც მუდმივი გამოყენების პირობებში, უზრუნველყოფენ ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების (CGU) მიერ ფულადი სახსრების შემოდინებისგან.

აქტივის ან CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს, მისი გამოყენების ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას , რომელიც შემცირებულია გაყიდვის ხარჯებით, შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მათ დღევანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივის ან CGU-სთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად, პროპორციულ საფუძველზე.

გასულ პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გარეშე, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. მეკავშირე საწარმოა, რომელზეც ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან ირიბად), თუმცა არ გააჩნია მასზე კონტროლი. კონტროლი. თავდაპირველი აღიარებისას მეკავშირე საწარმოში ინვესტიცია აღიარებულია თვითღირებულებით, ხოლო საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება ინვესტიციის მიმღების მოგების ან ზარალის ინვესტორის წილის აღიარებისთვის, შეძენის თარიღის შემდეგ. ინვესტორის წილი ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში აღიარებულია ინვესტორის მოგებაში ან ზარალში. ინვესტიციის მიმღებისგან მიღებული განაწილება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. საბალანსო ღირებულების კორექტირება ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ინვესტორის ინვესტიციის მიმღებში პროპორციული წილის ცვლილებისთვის, რომელიც გამოწვეულია ინვესტიციის მიმღების სხვა სრული შემოსავლის ცვლილებებით. ასეთ ცვლილებებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების გადაფასება და სავალუტო სხვაობები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აღიარებულია ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

შემოსავალი დივიდენდიდან. დივიდენდიდან შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფის უფლება თანხის მიღების შესახებ განსაზღვრულია.

წმინდა მოგება ინვესტიციების გაყიდვიდან. სხვაობა მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოში ინვესტიციების, რომლებსაც აღიარება შეუწყდა, საბალანსო ღირებულებას და მიღებულ ანაზღაურებას შორის, აღიარდება, როგორც წმინდა მოგება ინვესტიციის გაყიდვიდან და აისახება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

ერთობლივი საქმიანობა. ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში კლასიფიცირდება როგორც ერთობლივი ოპერაციები ან ერთობლივი საწარმო, თითოეული ინვესტორის სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების მიხედვით. კომპანიამ შეაფასა თავისი ერთობლივი საქმიანობის ბუნება და დაადგინა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ საწარმოებს. ერთობლივი საწარმოები აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

საკუთარი კაპიტალი. ჯგუფის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები სააქციო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის აქციონერების გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია, როგორც სააქციო კაპიტალი ჯგუფის საკუთარ კაპიტალში, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც განხორციელდა ჯგუფში შენატანი აქციონერების მიერ.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქციონერის მიერ განხორციელებული შენატანები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის (საკუთარი კაპიტალის) ზრდა აღირიცხება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის შემცირება აღირიცხება გატანილი აქტივების საბალანსო ღირებულებით. არაფულადი აქტივების გატანა კაპიტალიდან არ შედის ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) მოქმედების სფეროში იმის გათვალისწინებით, რომ გატანილი აქტივის საბოლოო მესაკუთრე არ იცვლება.

საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღიარებულია, როდესაც ადგილი აქვს მავალდებულებელ მოვლენები. მავალდებულებელია მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია აქტივებად.

ჯგუფი აღიარებს დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელ მოგების გადასახადს ვალდებულებად და ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმ პერიოდისა, რომელზედაც გამოცხადებულია დივიდენდები ან იმ პერიოდისა, რომელშიც საბოლოოდ ნაწილდება დივიდენდები. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სხვაობა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობა.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. ჯგუფი იყენებს ერთ, ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე. მოდელის ხუთი საფეხური შემდეგია:

- მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქტივზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესრულების ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა. ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს და სხვა მომსახურებებიც გაწეულია. შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან მომსახურება არის გაწეული.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა. ჯგუფის შემოსავლის ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან შემოსავლის განსაზღვრა ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება . ჯგუფის ხელშეკრულებების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებს. შესაბამისად ჯგუფი მთლიან სახელშეკრულებო ფასს კონკრეტულ ოპერაციებზე ანაწილებს.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფს გააჩნია გარკვეული გამონაკლისები:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

საფინანსო შემოსავალი. ჯგუფის საფინანსო შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს ბანკში განთავსებულ თანხებზე. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საფინანსო ხარჯი. ჯგუფის საფინანსო ხარჯები მოიცავს ფინანსურ ხარჯს რესტრუქტურიზებული ფინანსური ვალდებულებების ამორტიზაციის გავლენაზე. საპროცენტო ხარჯების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი არ, ან აღარ აკმაყოფილებს საბალანსო უწყისში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებული თანამშრომლების სარგებელი. თანამშრომელთა სარგებლის მოკლევადიანი ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების მიწოდებისას. ვალდებულება აღიარებულია მოკლევადიანი ბონუსის ფარგლებში მოსალოდნელი თანხის გადახდისთვის, თუ ჯგუფს აქვს ამჟამინდელი კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა, როგორც თანამშრომლის მიერ გაწეული წარსული მომსახურების შედეგი და ვალდებულების სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ჯგუფიდან გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სარწმუნოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკურ სარგებელს ადგილი აუცილებლად ექნება, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა შეფასების ცვლილება.

ანარიცხი არის გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულება. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, რომლის ანგარიშსწორებისას მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების საწარმოდან გადინებას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არ აქვს ამ ვალდებულების ანგარიშსწორების გარდა სხვა სამართლიანი ალტერნატივა.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იურიდიულია ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება:
(ა) ხელშეკრულებიდან (მისი ცალსახა თუ ნაგულისხმევი პირობების მეშვეობით); (ბ) კანონმდებლობიდან; ან (გ) კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციულია ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს ქმედებებიდან, მაშინ, როდესაც:

(ა) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განაცხადის მიხედვით, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ იგი აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და

(ბ) შედეგად, საწარმომ შექმნა მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები . საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ავტორიზაციის თარიღამდე, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის თარიღისთვის, წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მაშინ, როდესაც ისინი არსებითია.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირებები მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებებს იმ პერიოდის შესახებ, როდესაც აქტივები გამოიმუშავებენ ამონაგებს , რაც პერიოდულად გადაიხედება. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვალებადობა საბალანსო ღირებულებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონკრეტულ პერიოდებში.

სპეციალური დანიშნულების აქტივებისა და ინვესტიციების გაუფასურების ინდიკატორები. ყოველ საბალანსო თარიღზე ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი თანხა შემცირდა და არის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ განიხილა ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურების მაჩვენებელი და შედეგად, ჩატარდა გაუფასურების ტესტი ჯგუფის არაფინანსურ აქტივებთან მიმართებაში. შესაბამისად, 2,704 ათასი ლარის ოდენობის გაუფასურების ზარალი (2022 წელი: ნული) აისახა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 9.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან:

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებისას. ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე, მაგრამ არა ჯგუფის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებაზე ან წარდგენაზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

შესწორებების გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის, რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება“ და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს)

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება ბასსს-ის მიერ განსაზღვრული თარიღით, ან მის შემდეგ).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18-წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს, ან მას შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად ითვლება, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარ ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება მათი მომსახურებისთვის სრული განაკვეთით აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და სხვა კომპენსაციისგან. მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს ჯგუფის დირექტორს და დეპარტამენტების უფროსებს. მთავარი ხელმძღვანელი პირების მთლიანმა ანაზღაურებამ შეადგინა 518 ათასი ლარი (2022 წელი: 377 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები	განვითარების ფაზაში მყოფი პროექტები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	ავტომობილები	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	**1,581**	**746**	**3,121**	**426**	**359**	**6,233**
დამატებები	-	-	1,098	22	178	**1,298**
მესაკუთრეების მიერ არაფულადი აქტივების შენატანი	1,324	-	-	-	-	**1,324**
არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე	-	(739)	-	-	-	**(739)**
გასვლა	-	(7)	(2,059)	(82)	(35)	**(2,183)**
2022 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,160**	**366**	**502**	**5,933**
დამატებები	-	-	924	91	332	**1,347**
გასვლა	-	-	(448)	-	(65)	**(513)**
2023 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,636**	**457**	**769**	**6,767**
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**(272)**	**(155)**	**(427)**
ცვეთის დარიცხვა	-	-	-	(40)	(63)	**(103)**
გასვლები	-	-	-	3	15	**18**
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**-**	**(309)**	**(203)**	**(512)**
ცვეთის დარიცხვა	-	-	-	(26)	(19)	**(45)**
გაუფასურების დარიცხვა	-	-	(1,643)	-	-	**(1,643)**
გასვლები	-	-	-	-	57	**57**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(1,643)**	**(335)**	**(165)**	**(2,143)**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	**1,581**	**746**	**3,121**	**154**	**204**	**5,806**
2022 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,160**	**57**	**299**	**5,421**
2023 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**993**	**122**	**604**	**4,624**

ტესტი გაუფასურებაზე

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ გამოავლინა შპს „ბორჯომის ელექტროსადგურში“ (BPP) ჯგუფის ინვესტიციების გაუფასურების ინდიკატორები. წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება მათ საბალანსო ღირებულებაზე დაბალი იყოს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ტესტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად.

ხელმძღვანელობამ გარე დამოუკიდებელი შემფასებელი დაიქირავა BPP-ში ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად. მათ შეაფასეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ანაზღაურებადი ღირებულება, როგორც უფრო მაღალი, ვიდრე შესაბამისი გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება (FVLCD) და გამოყენების ღირებულება (VIU).

გამოყენების ღირებულების გამოანგარიშებისთვის გამოყენებული იყო დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდი და შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის წმინდა დღევანდელი ღირებულების მისაღებად შემოსავლის მიდგომის საფუძველზე, გამოყენებული იყო 10-წლიანი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. ვინაიდან სავარაუდოა, რომ საკუთრება გააგრძელებს ფულადი ნაკადების წარმოქმნას საპროგნოზო პერიოდის მიღმა, მისი ღირებულება იმ მომენტისთვის („საბოლოო ღირებულება“) შეფასებულია და დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ძირითადი საშუალებები) საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,172 ათასი ლარი, რაც ნაკლებია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე 1,529 ათასი ლარის ოდენობით და გაუფასურების ზარალი 1,643 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკის მონაცემების საფუძველზე სამართლიანი ღირებულების შეფასებას მიენიჭა მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების კატეგორია.

გამოყენების ღირებულების გამოთვლებისთვის გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართ ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, იყო: შეფასებული საიჯარო განაკვეთი 9-11 აშშ დოლარი კვადრატულ მეტრზე და დისკონტრების განაკვეთი 15,59%.

მოცემული შეფასებული იჯარის განაკვეთები რომ გაზრდილიყო ან შემცირებულიყო 1%-ით, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯამური სამართლიანი ღირებულება იქნებოდა შესაბამისად 120 ათასი ლარით მეტი ან 120 ათასი ლარით ნაკლები.

მოცემული დისკონტირების განაკვეთი რომ გაზრდილიყო ან შემცირებულიყო 1%-ით, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯამური სამართლიანი ღირებულება იქნებოდა შესაბამისად 80 ათასი ლარით ნაკლები ან 90 ათასი ლარით მეტი.

9 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

	ფლობილი საკუთრების წილი			
ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს პარვუს (i)	-	49.99%	-	4,267
შპს ჩორდულა ჰესი (ii)	45%	45%	2,266	1,664
შპს საქართველოს მზის კომპანია	10%	10%	543	544
შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური (iii)	50%	20%	1,227	423
შპს პარვუს ბასრა (iv)	49.9%	-	11,949	-
სს ჩალიკ ჯორჯია ვინდ	15%	15%	815	579
სულ			**16,800**	**7,477**

i) 2022 წელს კომპანიამ დააარსა შპს „პარვუსი“ წილებზე შესაბამისად ფუთ და ქოლ ოფციონებით, კომპანიისთვის და შპს „პარვუს ჯგუფისთვის“, რომელიც ფლობს დარჩენილ 50.01%-იან წილს. შპს „პარვუს“ დუშეთისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში მდებარე ოთხი ჰესის მშენებლობას აწარმოებს. 2023 წელს ქოლ-ოფციონი გამოყენებული იყო შპს პარვუს ჯგუფის მიერ, შედეგად ინვესტიციების რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ 1,880 ათასი ლარი შეადგინა. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთი წლის ბოლოს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო ნულის ტოლი (2022 წ. 31 დეკემბერი: 343 ათასი ლარი)

(ii) შპს ჩორდულა ჰესი 2022 წლის აპრილიდან ეწეოდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და მის ექსპლუატაციას რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში. კომპანია ფლობს 45%-ს, ხოლო დარჩენილი 55% შპს რაჭა ენერჯის საკუთრებაშია. საინვესტიციო ხელშეკრულება მოიცავს წილებზე ფუთ და ქოლ ოფციონებს რომელიც ძალაშია მუშაობის დაწყებიდან (2022 წლის 6 დეკემბერი) მომდევნო 3 წლის განმავლობაში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წლის ბოლოს არსებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 694 ათასი ლარი (2022 წ. 31 დეკემბერი: 461 ათასი ლარი)

(iii) 2023 წელს კომპანიის წილი შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურში გაიზარდა 30 %-ით მფლობელის მიერ განხორციელებული კაპიტალ-შენატანის საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 14)

(iv) 2023 წელს კომპანიამ დააარსა შპს „პარვუს ბასრა“ წილებზე ფუთ და ქოლ ოფციონით, შესაბამისად კომპანიისთვის და შპს „პარვუს ჯგუფისთვის“, რომელიც ფლობს დარჩენილ 50. 1%-იან წილს. შპს „პარვუს ბასრა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მდებარე სამი ჰესის მშენებლობაშია ჩართული. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთი წლის ბოლოს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 921 ათასი ლარი.

10 საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადები ირიცხება ერთიან სახაზინო კოდექსზე. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები სხვა მხარეებისგან	10,406	10,407
სულ ფინანსური აქტივები	**10,406**	**10,407**
გადახდილი ავანსები	29	17
სულ არაფინანსური აქტივები	**29**	**17**
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**10,435**	**10,424**
წმინდა გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე *	(10,405)	(10,405)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	**30**	**19**

შემდეგი ცხრილი განმარტავს ცვლილებებს საკრედიტო ზარალის ანარიცხებში სავაჭრო მოთხოვნებზე წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს	**10,405**	**10,405**
გაუფასურების ანარიცხის ზრდა *	-	-
31 დეკემბერს	**10,405**	**10,405**

* 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს ნამახვანს გააჩნია შპს ქლინ ენერჯი ჯორჯიასთვის აქტივების მიყიდვიდან წარმოქმნილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნა (რომელიც ეწოდა შპს ენკა რინიუებლზე), რომელიც წარმოიშვა ნამახვან ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით 2019 წელს. მას შემდეგ, რაც სამშენებლო პროცესი შეჩერდა 2021 წელს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ შექმნა 100%-იანი გაუფასურების ანარიცხი შესაბამის სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც „ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები “, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ლიკვიდობისა და ვალუტის შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

12 ვადიანი დეპოზიტები

თანხები საკრედიტო ინსტიტუტებიდან წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს 90 დღეზე მეტი ვადით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 43,000 ათასი ლარის დეპოზიტები სს პაშა ბანკში, სს ლიბერთი ბანკსა და სს ტერა ბანკში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 54,000 ათასი ლარის დეპოზიტები სს „პაშა ბანკში“ და სს „ლიბერთი ბანკში“.

ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო შემოსავალი იყო 6,924 ათასი ლარი (2022 წელი: 6,750 ათასი ლარი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო ხარისხი საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ათასი ლარი	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
- საუკეთესო	29,000	-
- კარგი	14,000	54,000
სულ	**43,000**	**54,000**

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
ფულადი სახსრები ბანკში ლარში	4,161	824
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	2
სულ	**4,161**	**826**

საპროცენტო შემოსავალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე იყო 171 ათასი ლარი (2022 წელი: 398 ათასი ლარი).

ქვემოთ მოცემული ცხრილი განმარტავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხს საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ათასი ლარი	**2023 წლის 31 დეკემბერი**	**2022 წლის 31 დეკემბერი**
- საუკეთესო	4,161	824
- კარგი	-	2
სულ	**4,161**	**826**

14 სააქციო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ჰქონდა 49,755 ათასი (2022: 49,101 ათასი) ავტორიზებული, გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2023 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელ ელექტროსადგურში წილის დამატებითი 30%-ის შენატანის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულებით 654 ათასი ლარი, რაც განსაზღვრულია დამოუკიდებელი შემფასებელი ფირმის მიერ.

2022 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა მაში განხორციელებული შენატანით, რაც წარმოადგენდა 1,324 ათასი ლარის მიწას და 3,722 ათასი ლარის მარაგს და შემცირდა შპს „ენგურის ტურისტულ ცენტრში“ ჩადებული, 3,605 ათასი ლარის ინვესტიციის გატანის მეშვეობით და 739 ათასი ლარის შენობა-ნაგებობების ამოღების მეშვეობით.

15 პროფესიული მომსახურების და სხვა დანახარჯები

ათასი ლარი	**2023**	**2022**
პროფესიული მომსახურება*	(1,110)	(1,213)
ქირავნობის ხარჯი	(281)	(279)
საჩუქრად მზის პანელები სოფლის სკოლებს	(255)	-
მივლინებები	(242)	(149)
საწევროს საფასური	(199)	(209)
სარეკლამო ხარჯი	(183)	(60)
წარმომადგენლობითი დანახარჯები	(105)	(72)
საწვავის ხარჯი	(71)	(33)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(55)	(47)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(49)	(34)
ოფისის ხარჯი	(28)	(10)
კომუნალურები	(18)	(16)
საკომუნიკაციო ხარჯები	(12)	(12)
დაზღვევა	(12)	(7)
სხვა დანახარჯები	(253)	(334)
სულ	**(2,873)**	**(2,514)**

16 საპროცენტო შემოსავალი, ნეტო

ათასი ლარი	**2023**	**2022**
საპროცენტო ხარჯი:		
სს თიბისი ბანკი	(4)	(4)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(4)**	**(4)**
საპროცენტო შემოსავალი		
სს პაშა ბანკი	3,897	2,296
სს ლიბერთი ბანკი	2,129	2,322
სს ტერა ბანკი	923	-
სს თიბისი ბანკი	146	1,388
სს საქართველოს ბანკი	-	628
სს ლიბერთი ბანკი სს ვითიბი ბანკი	-	518
სულ საპროცენტო შემოსავალი	**7,095**	**7,152**
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	**7,091**	**7,148**

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება მიღებულ იქნას პრეტენზიები ჯგუფის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია, რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი რომელიც გადააჭარბებს ანარიცხებს, რომლებიც შექმნილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარებად ქვეყანაშია და სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა მისი ობიექტებისთვის, ბიზნესის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობისთვის, საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანისთვის, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევასთან ან ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები . საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე მომავალი ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ეს გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

18 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკას და პროცესებს ამ რისკების მართვისთვის და მათი შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ მოკლევადიანი ვადა, საბალანსო ღირებულება ითვლება, რომ უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებისთვისაც ჯგუფი ექვემდებარება რისკის წარმოქმნას, არის შემდეგი:

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	10,406	10,407
საგადასახადო აქტივი	10	37	50
ვადიანი დეპოზიტები	12	43,000	54,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,161	826
სულ ფინანსური აქტივები		**57,604**	**65,283**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		47	153
სულ ფინანსური ვალდებულებები		**47**	**153**
ლიკვიდობის სხვაობა		**57,557**	**65,130**

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები. ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, სანამ ინარჩუნებს მათზე საბოლოო პასუხისმგებლობას, მას აქვს დელეგირებული უფლებამოსილება შექმნას და ოპერირება გაუწიოს პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ დანერგვას ორგანიზაციის ფინანსურ ფუნქციებში .

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად შეამცირებს რისკებს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ამ პოლიტიკის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ.

თავისი ოპერაციების მეშვეობით ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარისთვის გამოიწვევს ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას.

საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება საანგარიშგებო თარიღებზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	10,406	10,407
საგადასახადო აქტივები	10	37	50
ვადიანი დეპოზიტები	12	43,000	54,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,161	826
სულ ფინანსური აქტივები		**57,604**	**65,283**

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად ჯგუფი იყენებს რისკის დონეზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლებიც შეფასებულია გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (როგორიცაა Standard & Poor's - "S&P") მიერ შეფასებული რისკის ქულებით. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები დაიტანება ადგილზე შედგენილ ძირითად შკალაზე, სადაც მითითებულია დეფოლტის ალბათობის ინტერვალი, რაც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია განმარტებული:

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალა	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შესაბამისი რეიტინგები (S&P)	შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ინტერვალი
საუკეთესო	AAA-დან BB+-კენ	0.01% – 0.1%
კარგი	BB -დან B+ -კენ	0.1% – 0.15%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	0.15% – 10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ -დან CC- -კენ	10% – 99.9%
დეფოლტი	C, D-I, D-II	100%

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალის ქულები მიენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტულ ხარისხს:

- *საუკეთესო* – მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *კარგი* – სათანადო საკრედიტო ხარისხი, საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *დამაკმაყოფილებელი* – საშუალო საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *სპეციალური მონიტორინგი* – საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგსა და გამოსწორებით მენეჯმენტს; და
- *დეფოლტი* – ობიექტები, სადაც ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

რეიტინგის მოდელების მიმოხილვას რეგულარულად ატარებს ხელმძღვანელობა, ის ახორციელებს დეფოლტის ფაქტობრივ მონაცემებზე გამოცდას და განაახლებს მათ, საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად გამოყენებული მეთოდისა, ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს რეიტინგის შეფასებების სისწორის დადასტურებას და აფასებს მოდელების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლების ანგარიშსწორება გათვალისწინებულია ხელშეკრულებებში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე. 2023 წლის 31 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა მნიშვნელოვანი ლიკვიდობის რისკი.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდეს საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროცენტიანი და უცხოურ ვალუტაში ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილების გამო.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი ექვემდებარება მოქმედი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი ევრო	2023 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი ევრო	2022 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	2
სულ ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**2**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	99	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**99**	**-**
ღია საბალანსო პოზიცია	**-**	**-**	**(99)**	**2**

ვალუტის კურსის მგრძნობელობა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის კურსების 20%-ით მატება-კლების მიმართ ლართან მიმართებაში და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსების შესაძლო ცვლილების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოს ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებისთვის.

გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე, რაც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ათასი ლარი	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	-	-
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	-	-
ევროს გამყარება 20%-ით	-	(20)
ევროს გაუფასურება 20%-ით	-	20

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან ვალდებულებებთან ცვლადი განაკვეთის გამო. ჯგუფს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი რესტრუქტურიზებულ სავაჭრო ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებზე. ჯგუფმა შეაფასა საიჯარო ვალდებულებების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი და გამოითვალა ის, როგორც საშუალო შეწონილი განაკვეთი, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი ნასესხები სახსრების მოპოვება დამოუკიდებელი კრედიტორისგან შესადარებელი პირობებით. რესტრუქტურიზებული სავაჭრო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური აქტივებისა და პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	43,000	54,000
წმინდა ვალი	**43,000**	**54,000**

კაპიტალის მართვა. ჯგუფის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას ჯგუფის შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ; და
- აქციონერებისთვის უზრუნველყოს ადეკვატური უკუგება

ჯგუფი ადგენს კაპიტალის საჭირო რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და ახორციელებს კორექტირებას საიჯარო აქტივების ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ფონზე.

19 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად და ხელმძღვანელობა თვლის, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა გამჟღავნდეს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

19 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
ათასი ლარი	ამართლიანი ღირებულება პირველი დონე	სამართლიანი ღირებულება მე-2 დონე	სამართლიანი ღირებულება მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება პირველი დონე	სამართლიანი ღირებულება მე-2 დონე	სამართლიანი ღირებულება მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით								
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	36	-	36	-	19	-	19
- ვადიანი დეპოზიტები	43,000	-	-	43,000	54,000	-	-	54,000
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,161	-	-	4,161	826	-	-	826
არაფინანსური აქტივები								
-ძირითადი საშუალებები	-	-	1,529	1,529	-	-	-	-
სულ აქტივები	**47,161**	**36**	**1,529**	**48,726**	**54,826**	**19**	**-**	**54,845**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55	-	-	55	-	155	-	155
სულ ვალდებულებები	**55**	**-**	**-**	**55**	**-**	**155**	**-**	**155**

სამართლიანი ღირებულებები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. საზოგადოდ, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 10 აპრილს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ 1,085 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

2024 წლის 10 აპრილს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 4,236 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

2024 წლის 31 მაისს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 1,050 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

ჯი-ი-დი-ეფ ჯგუფი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2023 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 1
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება 4

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1 ჯგუფი და მისი ოპერაციები 5
2 ჯგუფის საოპერაციო გარემო 7
3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა 8
4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას 17
5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება 18
6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები 19
7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან 19
8 ძირითადი საშუალებები 20
9 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში 22
10 საგადასახადო აქტივები 22
11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 23
12 ვადიანი დეპოზიტები 24
13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 24
14 სააქციო კაპიტალი 25
15 პროფესიული მომსახურების და სხვა დანახარჯები 25
16 საპროცენტო შემოსავალი, ნეტო 26
17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები 26
18 ფინანსური რისკის მართვა 27
19 სამართლიანი ღირებულების შეფასება 31
20 სააწგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 33

სხვა ინფორმაცია – მმართველობის ანგარიშგება –ჯგუფის საქმიანობის მიმოხილვა 2023 წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის აქციონერსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის (შემდგომში „კომპანია") და მისი შვილობილი საწარმოების (ერთობლივად - „ჯგუფი") კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე ჯგუფის საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- კონსოლიდირებულ მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, რომელიც შედგება არსებითი საღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციისგან და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს") შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის *„აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე"* ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო
King David ბიზნეს ცენტრი, მ. ალექსიძის #12, მე-7 სართული, თბილისი 0171, საქართველო
ტელ: +995 (32) 250 80 50, www.pwc.com/ge

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას" (მაგრამ არ მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე ჩვენს მიერ გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ, ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს არსებითი უზუსტობა, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს;

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე

მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად ალებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოების ფინანსური ინფორმაციის, ან ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თაობაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ ჯგუფის აუდიტის წარმართვის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებლები ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2024 წლის 22 ივლისი
თბილისი, საქართველო

ათასი ლარი

	შენიშვნა	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	4,624	5,421
არამატერიალური აქტივები		6	5
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	9	16,800	7,477
სულ გრძელვადიანი აქტივები		**21,430**	**12,903**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		269	290
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	37	48
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	11	30	19
ვადიანი დეპოზიტები	9	1,615	804
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	43,000	54,000
სულ მოკლევადიანი აქტივები	13	4,161	826
		49,112	**55,987**
სულ აქტივები		**70,542**	**68,890**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	49,755	49,101
გაუნაწილებელი მოგება		20,738	19,635
სულ კაპიტალი		**70,493**	**68,736**
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულება		49	154
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**49**	**154**
სულ ვალდებულებები		**49**	**154**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**70,542**	**68,890**

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 ივლისს:

ჯაბა ხმალაძე
დირექტორი

გიორგი ჩაჩიბაია
ფინანსური დირექტორი

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
დაქირავებულ თანამშრომელთა სარგებლის დანახარჯები		(5,001)	(4,625)
პროფესიული მომსახურება და სხვა ხარჯები	15	(2,873)	(2,514)
ცვეთა და ამორტიზაცია		(47)	(104)
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციის გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	9	1,880	-
წარმოებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	9	1,615	-
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	8	(1,643)	-
მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების შედეგების წილი		(745)	(430)
სხვა შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		776	463
საოპერაციო ზარალი		**(6,038)**	**(7,210)**
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	16	7,091	7,148
სავალუტო შემოსულობა/(ზარალი), ნეტო		50	(11)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**1,103**	**(73)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება/(ზარალი)		**1,103**	**(73)**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ, წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		**1,103**	**(73)**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-33, წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	საქციო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	**48,399**	**18,256**	**66,655**
მესაკუთრის მიერ არაფულადი აქტივების შენატანი	5,046	-	**5,046**
არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეზე	(4,344)	1,452	**(2,892)**
სულ წლის სრული ზარალი	-	(73)	**(73)**
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	**49,101**	**19,635**	**68,736**
მესაკუთრის მიერ არაფულადი აქტივების შენატანი	654	-	**654**
სულ წლის სრული შემოსავალი	-	1,103	**1,103**
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	**49,755**	**20,738**	**70,493**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-33, წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ათასი ლარი	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**1,103**	**(73)**
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8	47	104
წმინდა ზარალი/(შემოსულობა) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		456	(18)
ძირითად საშუალებებზე წმინდა გაუფასურების ზარალი	8	1,643	-
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული წმინდა შემოსულობა	9	(1,880)	-
წმინდა შემოსულობა წარმოებულების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან	9	(1,615)	-
წილი მეკავშირე და ერთობლივი საწარმოების შედეგებიდან		745	430
საპროცენტო შემოსავალი	16	(7,091)	(7,148)
სავალუტო (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო		(50)	11
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		**(6,642)**	**(6,694)**
ცვლილება მარაგებში		21	(28)
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(11)	25
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		(108)	(465)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში		11	105
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		**(87)**	**(363)**
მიღებული პროცენტი		7,094	7,148
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**365**	**91**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,098)	(1,245)
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები		-	61
ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	9	(13,079)	(1,640)
შემოსულობა ვადიანი დეპოზიტებიდან	12	67,500	65,518
ფულადი სახსრების განთავსება ვადიან დეპოზიტებზე	12	(56,500)	(72,251)
წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციების გასვლიდან მიღებული შემოსულობა	9	6,153	-
საინვესტიციო საქმიანობიდან წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება)		**2,976**	**(9,557)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება		**3,341**	**(9,466)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	13	**826**	**10,299**
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულად სახსრებსა და მათი ეკვივალენტებზე		(6)	(7)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	13	**4,161**	**826**

1 ჯგუფი და მისი ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს") მიხედვით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდისთვის (შემდგომში „კომპანია", GEDF) და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი", GEDF ჯგუფი).

კომპანია დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის საქციო საზოგადოება, შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404391975.

კომპანიის 100% აქციონერი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა („მესაკუთრე"). ჯგუფს მართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები წარმოდგენილია მე-7 შენიშვნაში.

ძირითადი საქმიანობა. ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზებას, შესაბამისი თანხების მოძიებას პროექტების შემუშავების და მათი ეფექტური განხორციელების გზით. ამის საფუძველზე, ჯგუფი დაკავებულია შემდეგი საქმიანობით: წინასწარი კვლევითი სამუშაოების განხორციელება, პროექტების მიზანშეწონილობის წინასწარი შეფასება, გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება, ინვესტორების მოძიება და მათი ინტერესის გაღვივება არსებული პროექტების მიმართ. ჯგუფის საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება საქართველოში.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს მშობელ საწარმოს და მის ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირებული ჰყავს შემდეგი შვილობილი საწარმოები:

შვილობილი საწარმო	ქვეყანა, სადაც ოპერაციები ხორციელდება	% წილობილი საკუთრების წილი		ოპერაციის ტიპი
		2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	
სს ნამახვანი (i)	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის წარმოება
შპს ბიომას ენერჯი (ii)	საქართველო	100%	100%	ელექტროენერგიის წარმოება
შპს ბორჯომის ელექტროსადგური (iii)	საქართველო	100%	100%	ტურისტული ცენტრი
შპს ენგურის ტურისტული ცენტრი (iv)	საქართველო	0%	0%	ტურისტული ცენტრი

(i) სს ნამახვანი 2021 წლამდე ეწეოდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას საქართველოს დასავლეთ ნაწილში, სანამ მშენებლობა შეჩერდა. სს „ნამახვანს" გააჩნია მოთხოვნები (იხ. შენიშვნა 11) შპს „ენკა რინიუაბლზისგან", საწარმოსგან, რომელმაც ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოს მთავრობასთან ჰესის მშენებლობასთან და მის სამომავლო ოპერირებასთან დაკავშირებით.

(ii) შპს „ბიომას ენერჯი" ეწევა ალტერნატიული ენერგიის მაღალი პოტენციალის მქონე ალვის ხეების დარგვას და წინასამშენებლო ფაზაში მყოფი ბიომასის ელექტროსადგურის მშენებლობას. 2022 წლის მარტში GEDF გახდა შვილობილი კომპანიის 100%-იანი მფლობელი, რადგან მაყორიტარმა აქციონერმა, შპს "ჯორჯიან ბიო ენერჯიმ", რომელიც ადრე ფლობდა 71%-ს, ვერ შეასრულა აქციონერთა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახელშეკრულებო პირობები.

(iii) შპს ბორჯომის ელექტროსადგური თავდაპირველად ეწეოდა ბორჯომის ისტორიული ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციას (რომელიც მუშაობდა 1899-1950 წლებში)რათა მას ემუშავა, როგოც ჰესს. თუმცა, შემდგომი კვლევების შედეგად, გამოვლინდა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ირგვლივ არსებული სირთულეები, გადაიხედა პირველადი გეგმა ბორჯომჰესის მუზეუმად რეკონსტრუქციის მიზნით, ტურიზმის მოზიდვის თვალსაზრისით.

(iv) კომპანიის მესაკუთრის 2022 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილების შედეგად, შპს „ენგურის ტურისტულ ცენტრში" ინვესტიცია გატანილია კომპანიის კაპიტალიდან (იხ. შენიშვნა 14).

რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, №21, თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (₾), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის საოპერაციო გარემო

ჯგუფის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები. საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს რაც ხელს უწყობს საქართველოში მოქმედი კომპანიების გამოწვევების წინაშე დაყენებას. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთ-უკრაინის საზღვართან რუსული სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი გაძლიერების შემდეგ, რუსულმა ჯარებმა გადაკვეთეს საზღვარი. ჯგუფს არ აქვს პირდაპირი დაქვემდებარება უკრაინასთან, რუსეთთან და ბელარუსთან. ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამას არ ექნება შესამჩნევი გავლენა ჯგუფის საქმიანობაზე. იმის გამო, რომ ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია სარწმუნოდ შეფასდეს სრული გავლენა ჯგუფზე, რადგან არსებობს გაურკვევლობა ზოგადად ეკონომიკაზე გავლენის მასშტაბის შესახებ. ხელმძღვანელობა ყურადღებით აკვირდება არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას.

მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის სამომავლო ეფექტების პროგნოზირება რთულია და ხელმძღვანელობის ამჟამინდელი მოლოდინები და შეფასებები შეიძლება განსხვავდებოდეს ფაქტობრივი შედეგებისგან.

კლიმატის ცვლილება. ჯგუფი ექვემდებარება კლიმატის ცვლილების რისკს. კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული რისკების ჯგუფის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა გლობალური ინფორმირებულობა და ზრუნვა კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ გამოეხმაურება მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ისინი გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი საქმიანობს.

3 არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში, პირვანდელი ღირებულების მეთოდით, როგორც ეს მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. იხილეთ მე-5 შენიშვნა. კომპანია ასევე აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია ფასს-ის შესაბამისად და ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის.

ფასს-ის შესაბამისად ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის მოითხოვება გარკვეული კრიტიკული საღრიცხვო შეფასებების გამოყენება. აგრეთვე, მოითხოვება ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება, ჯგუფის საღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, შეფასებები და დაშვებები, რომელიც მნიშვნელოვანია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისთვის, განმარტებულია მე-4 შენიშვნაში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. შვილობილი საწარმოებია ინვესტიციის მიმღები ის საწარმოები (სტრუქტურიზებული საწარმოების ჩათვლით), რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს: (i) გააჩნია ინვესტიციის მიმღების იმ შესაფერისი საქმიანობების წარმართვის უფლებამოსილება, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტიციის მიმღების უკუგებაზე; (ii) ინვესტიციის მიმღებ საწარმოში მონაწილეობის გამო, გააჩნია მისგან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება; და (iii) შესწევს უნარი, გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე, რათა გავლენა მოახდინოს ინვესტორის უკუგებაზე. არსებითი უფლებების არსებობის და გავლენის (მათ შორის არსებითი პოტენციური ხმის უფლების) გათვალისწინება ხდება იმის შეფასებისას, გააჩნია თუ არა ჯგუფს უფლებამოსილება სხვა საწარმოზე. უფლება რომ არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა გააჩნდეს პრაქტიკული უნარი, გამოიყენოს ეს უფლება ინვესტიციის მიმღების შესაბამისი საქმიანობის წარმართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ჯგუფს შეიძლება გავლენა ჰქონდეს ინვესტიციის მიმღებზე მაშინაც კი, როდესაც მას ინვესტიციის მიმღების ხმათა უმრავლესობაზე ნაკლები ხმის უფლება გააჩნია. მსგავს შემთხვევაში, ჯგუფი შეაფასებს თავისი ხმის უფლების ზომას, ხმის უფლების სხვა მფლობელების ზომასა და ხმის უფლებების განაწილებასთან მიმართებით, რათა დაადგინოს, გააჩნია თუ არა მას დე-ფაქტო უფლებამოსილება ინვესტიციის მიმღებზე. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, როგორიცაა, მაგალითად უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციის მიმღების საქმიანობების ფუნდამენტურ ცვლილებებთან, ან, რომლებიც ვრცელდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ ინვესტიციის მიმღების გაკონტროლების თავიდან აცილებას. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულია ჯგუფისთვის კონტროლის უფლებამოსილების გადაცემიდან (შეძენის თარიღიდან), ხოლო კონსოლიდირება წყდება კონტროლის გაუქმების თარიღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვისათვის. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, რომლებიც მიიღება საწარმოთა გაერთიანებისას, ფასდება მათი სამართლიანი ღირებულებით შეძენის თარიღისათვის, ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილის ოდენობის მიუხედავად.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შეძენილ საწარმოში გადახდილი ანაზღაურება ფასდება დათმობილი აქტივების, გამოშვებული სავალო ინსტრუმენტების და მიღებული ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, პირობითი ანაზღაურების შეთანხმებების აქტივების ან ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ჩათვლით, მაგრამ არ შეიცავს შეძენასთან დაკავშირებულ ისეთ დანახარჯებს, როგორიცაა საკონსულტაციო, იურიდიულ, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების დანახარჯებს. სავალო კაპიტალიდან; საწარმოთა გაერთიანების ფარგლებში ვალის აღებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯები გამოიქვითება მისი საბალანსო ღირებულებიდან და შეძენასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანარჩენი დანახარჯი აისახება ხარჯებში.

საწარმოთაშორისი ოპერაციები, ნაშთები და ჯგუფის შემადგენელ კომპანიებს შორის ოპერაციებიდან წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობები ანულირდება; არარეალიზებული ზარალიც ანულირდება, თუ შეუძლებელია დანახარჯების ამოღება. კომპანია და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს ერთგვაროვან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც ჯგუფის პოლიტიკის თანმიმდევრულია.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში შეყვანილი მუხლები შეფასდება იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტის გამოყენებით, სადაც ის საქმიანობს (სამუშაო ვალუტა). კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში („₾"), რომელიც ჯგუფის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა.

ოპერაციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში იმ გაცვლითი კურსის გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ოპერაციის ან შეფასების თარიღებზე, სადაც მუხლები წინასწარ არის შეფასებული. მსგავსი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან მიღებული და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს გაცვლითი კურსით მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი შეყვანილი იმ პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი აქტივებიდან/ვალდებულებიდან მიღებული სავალუტო შემოსულობა და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „სავალუტო მოგება(ზარალი), წმინდად".

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საბოლოო სავალუტო კურსებს

	აშშ დოლარი
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.6894
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020

ფინანსური აქტივები. ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტების" მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად - „ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით", „ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით", „ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით".

ჯგუფმა შეაფასა, რომელი ბიზნეს მოდელი იყო საკმარისი ჯგუფის ფინანსური აქტივებისთვის და მოახდინა ისინი კლასიფიკაცია, როგორც „ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით".

ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით. ეს აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), თუმცა ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირ თანხას და პროცენტს. ისინი თავდაპირველად შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით.

3 არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები აღიარებულია ფასს 9-ის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრისას ანარიცხების მატრიცის გამოყენებით. ამ პროცესში ფასდება სავაჭრო მოთხოვნების ოდენობაზე, რომელიც წარმოიქმნება დეფოლტისგან, რათა განისაზღვროს სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის. სავაჭრო მოთხოვნებისთვის, რომლებიც ანგარიშგებულია წმინდად, ასეთი ანარიცხები აღირიცხება ცალკე ანგარიშგებაში. იმის დადასტურების შემთხვევაში, რომ სავაჭრო მოთხოვნა არ იქნება ამოღებადი, აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისი ანარიცხიდან.

ჯგუფის ფინანსური აქტივები, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ნაღდი ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ყველა საბანკო ვადა სამ თვეზე ნაკლებია, ან ისინი შეიძლება გარდაიქმნას ფულად სახსრებად ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება მათი სამართლიანი ღირებულებით. ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აისახება როგორც აქტივები, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და როგორც ვალდებულებები, როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილებები შედის წლის მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში. ჯგუფი არ იყენებს ჰეჯირების აღრიცხვას.

ფინანსური ვალდებულებები. ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები შეიძლება კლასიფიცირდეს ერთ-ერთი აქ ჩამოთვლილი კატეგორიისთვის - „ფინანსური ვალდებულება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით" და „სხვა ფინანსური ვალდებულებები". ჯგუფმა თავისი ყველა ფინანსური ვალდებულების კლასიფიცირება მოახდინა როგორც „სხვა ფინანსური ვალდებულებები". ჯგუფის სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო ვალდებულებებს, სხვა მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება მათ გამოშვებას. ასეთი პროცენტის მქონე ვალდებულებები შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე პროცენტის დარიცხვას მუდმივი განაკვეთით ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების საპროცენტო ხარჯები მოიცავს თავდაპირველ გარიგების დანახარჯებს და ვალდებულების გამოსყიდვის ნებისმიერ დამატებით ხარჯებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა.

3 არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ჯგუფი წყვეტს ფინანსური ვალდებულებების აღიარებას, მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფის ვალდებულებები შეიცვალა სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლისგან, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან განიხილება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. . სხვაობა აღიარება შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სხვა სრულ შემოსავალში.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, მხოლოდ, მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ან ეს უფლება გადაეცემა სხვა მხარეს მფლობელობის უფლებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელთან ერთად. ნებისმიერი წილი ფინანსურ აქტივში, რომელიც უნარჩუნდება ჯგუფს, აღიარდება, როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

აქტივების გამოყენების უფლება თავდაპირველად შეფასდება საიჯარო ვალდებულებების თანხით, რომელიც შემცირდება ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით, და გაიზრდება :

- საიჯარო გადახდებისთვის, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე;
- გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯებისთვის; და
- იმ აღიარებული ანარიცხების თანხებისთვის, სადაც ჯგუფს, ხელშეკრულების მიხედვით, მოეთხოვება საიჯარო აქტივის დემონტაჟი და ლიკვიდაცია, ან აღდგენა.

თავდაპირველი შეფასების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულება იზრდება დაუფარავ ნაშტზე არსებული პუდმივი განაკვეთით პროცენტის დარიცხვის შედეგად და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დარიცხული ცვეთის შედეგად.

აქტივს ცვეთა უნდა დაერიცხოს წრფივი მეთოდით იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე, ან აქტივის ეკონომიკური მომსახურების ვადის განმავლობაში, თუ ამ უკანასკნელს გააჩნია უფრო მცირე ვადა, ვიდრე საიჯარო ვადას. მიმდინარე და შედარებითი საანგარიშგებო პერიოდების განმავლობაში აქტივების გამოყენების უფლებას დაერიცხა ცვეთა 3-6 წლის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება შეწონილი საშუალო ღირებულების პრინციპის საფუძველზე და მოიცავს მარაგების შეძენისას გაწეულ ხარჯებს, წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა მათი არსებულ მდებარეობასა და მდგომარეობამდე მიყვანისას.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებული გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, შემცირებული შეფასებული გაყიდვის ხარჯებით.

ძირითადი საშუალებები- აღიარება და შეფასება. ძირითადი საშუალებების მუხლები შეფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის შეძენას. საწარმოს მიერ შექმნილი აქტივების ღირებულება მოიცავს მასალების და პირდაპირი შრომის ღირებულებას, ნებისმიერ სხვა ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიეკუთვნება აქტივის დანიშნულებისამებრ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან, მუხლების დემონტაჟისა და ამოღების და მათი ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯებს.

თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს აქვთ განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა, ისინი აღირიცხება, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული ელემენტები (ძირითადი კომპონენტები).

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობების შედარებით ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია წმინდად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავალში/სხვა ხარჯებში.

შემდგომი დანახარჯები. ძირითადი საშუალებების კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება აღიარებულია მუხლის საბალანსო ღირებულებაში, თუ არსებობს ალბათობა, რომ კომპონენტის შემადგენლობაში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოედინება, და მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულებას აღიარება უწყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯების სახით.

ცვეთა. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან, ან საწარმოს შიგნით შექმნილ აქტივებთან მიმართებაში, აქტივის დასრულების და გამოსაყენებლად მზადყოფნის დღიდან. ცვეთა ეფუძნება აქტივის ღირებულებას მისი შეფასებული ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით ძირითადი საშუალებების თითოეული მუხლის შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, რადგან ეს ყველაზე კარგად ასახავს აქტივის შემადგენლობაში არსებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ მოდელს .მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	20
ავტომობილები	5-10
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5-10

სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები განიხილება ყოველი ანგარიშგების თარიღზე და კორექტირდება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და ამორტიზდება წრფივი მეთოდი საფუძველზე შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. საწარმოში წარმოქმნილი არამატერიალური აქტივის ღირებულება მოიცავს პირდაპირ შრომას და ყველა პირდაპირ მიკუთვნებულ ხარჯს, რომელიც აუცილებელია აქტივის შესაქმნელად, მისი წარმოებისთვის და მოსამზადებლად, რათა შეძლოს იმუშაოს ხელმძღვანელობის განზრახვისამებრ, ამორტიზაციის ხარჯი შედის სხვა ხარჯებში, მთლიანი შემოსავლის ანგარიშგებაში.

არამატერიალური აქტივების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადა არის 5 წელი. ყველა არამატერიალური აქტივი ამორტიზდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, გარდა მარაგებისა, ბასს -36-ის მიხედვით განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მინიშნება. იმის შეფასებისას , არსებობს თუ არა მინიშნება, რომ აქტივი შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი ითვალისწინებს ინფორმაციის გარე და შიდა წყაროებს, მათ შორის მესაკუთრის განზრახვას და შესაძლებლობას, უზრუნველყოს ფინანსური მხარდაჭერა საკუთარ კაპიტალში ან სხვა კაპიტალში განხორციელებული შენატანების მეშვეობით, გარკვეულ კონკრეტულ აქტივებთან, კომერციულად სიცოცხლისუნარო პროექტებთან და/ან ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელებულია მესაკუთრის მითითებების შესაბამისად. თუ მსგავსი მინიშნება არსებობს, მაშინ ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები, რომელთა ინდივიდუალური ტესტირება ვერ ხერხდება, ერთიანდება მცირე აქტივთა ჯგუფებში, რომლებიც მუდმივი გამოყენების პირობებში, სხვა აქტივების ან ფულადი ნაკადების ისეთ შემოდინებას, რომელიც სრულიად დამოუკიდებელია შემოდინებისგან.

აქტივის ან CGU-ს ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს, მისი გამოყენების ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას , რომელიც შემცირებულია გაყიდვის ხარჯებით, შორის. გამოყენების ღირებულების შეფასებისას, სავარაუდო სამომავლო ფულადი ნაკადები დისკონტირებულია მათ დღევანდელ ღირებულებამდე, დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებას და აქტივის ან CGU-სთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. აღიარებული გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულთან მიმართებაში განაწილებულია ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფში) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად, პროპორციულ საფუძველზე.

გასულ პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუფასურების ზარალის შემცირების ან აღმოფხვრის რაიმე ნიშნის გამოსავლენად ხელახლა ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გარეშე, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში. მეკავშირე საწარმოა, რომელზეც ინვესტორს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა (პირდაპირ ან ირიბად), თუმცა არ გააჩნია მასზე კონტროლი. კონტროლი. თავდაპირველი აღიარებისას მეკავშირე საწარმოში ინვესტიცია აღიარებულია თვითღირებულებით, ხოლო საბალანსო ღირებულება იზრდება ან მცირდება ინვესტიციის მიმღების მოგების ან ზარალის ინვესტორის წილის აღიარებისთვის, შეძენის თარიღის შემდეგ. ინვესტორის წილი ინვესტიციის მიმღების მოგებაში ან ზარალში აღიარებულია ინვესტორის მოგებაში ან ზარალში. ინვესტიციის მიმღებისგან მიღებული განაწილება ამცირებს ინვესტიციის საბალანსო ღირებულებას. საბალანსო ღირებულების კორექტირება ასევე შეიძლება საჭირო გახდეს ინვესტორის ინვესტიციის მიმღებში პროპორციული წილის ცვლილებისთვის, რომელიც გამოწვეულია ინვესტიციის მიმღების სხვა სრული შემოსავლის ცვლილებებით. ასეთ ცვლილებებს მიეკუთვნება ძირითადი საშუალებების გადაფასება და სავალუტო სხვაობები. ინვესტორის წილი ამ ცვლილებებში აღიარებულია ინვესტორის სხვა სრულ შემოსავალში.

შემოსავალი დივიდენდიდან. დივიდენდიდან შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფის უფლება თანხის მიღების შესახებ განსაზღვრულია.

წმინდა მოგება ინვესტიციების გაყიდვიდან. სხვაობა მეკავშირე საწარმოებსა და ერთობლივ საწარმოში ინვესტიციების, რომლებსაც აღიარება შეუწყდა, საბალანსო ღირებულებას და მიღებულ ანაზღაურებას შორის, აღიარდება, როგორც წმინდა მოგება ინვესტიციის გაყიდვიდან და აისახება მოგებაში ან ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში.

ერთობლივი საქმიანობა. ინვესტიციები ერთობლივ საქმიანობაში კლასიფიცირდება როგორც ერთობლივი ოპერაციები ან ერთობლივი საწარმო, თითოეული ინვესტორის სახელშეკრულებო უფლებებისა და ვალდებულებების მიხედვით. კომპანიამ შეაფასა თავისი ერთობლივი საქმიანობის ბუნება და დაადგინა, რომ ისინი წარმოადგენენ ერთობლივ საწარმოებს. ერთობლივი საწარმოები აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით.

საკუთარი კაპიტალი. ჯგუფის ავტორიზებული სააქციო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. ჯგუფის წესდებაში ცვლილებები (ცვლილებები სააქციო კაპიტალში, საკუთრებაში და ა.შ.) განხორციელდება მხოლოდ ჯგუფის აქციონერების გადაწყვეტილებით. ავტორიზებული კაპიტალი აღიარებულია, როგორც სააქციო კაპიტალი ჯგუფის საკუთარ კაპიტალში, იმ ოდენობით, რა ოდენობითაც განხორციელდა ჯგუფში შენატანი აქციონერების მიერ.

3 არსებითი საღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქციონერის მიერ განხორციელებული შენატანები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის (საკუთარი კაპიტალის) ზრდა აღირიცხება შეტანილი აქტივების სამართლიანი ღირებულებით. კაპიტალის შემცირება აღირიცხება გატანილი აქტივების საბალანსო ღირებულებით. არაფულადი აქტივების გატანა კაპიტალიდან არ შედის ფასიკ 17-ის (არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე) მოქმედების სფეროში იმის გათვალისწინებით, რომ გატანილი აქტივის საბოლოო მესაკუთრე არ იცვლება.

საგადასახადო აქტივი და მოგების გადასახადის ხარჯი. მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები აღიარებულია, როდესაც ადგილი აქვს მავალდებულებელ მოვლენები. მავალდებულებელია მოვლენა, რომელიც იწვევს გადასახადის გადახდის ვალდებულებას. გადასახადები გამოითვლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარებულია აქტივებად.

ჯგუფი აღიარებს დივიდენდების განაწილებაზე მოგების გადასახდელ გადასახადს ვალდებულებად და ხარჯად იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმ პერიოდისა, რომელზედაც გამოცხადებულია დივიდენდები ან იმ პერიოდისა, რომელშიც საბოლოოდ ნაწილდება დივიდენდები. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკური ხასიათიდან გამომდინარე, არ არსებობს სხვაობა საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და საგადასახადო ბაზებს შორის, რამაც შედეგად შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების წარმოშობა.

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან. ჯგუფი იყენებს ერთ, ხუთსაფეხურიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაზე. მოდელის ხუთი საფეხური შემდეგია:

- მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულებას შეასრულებს.

ჯგუფი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო შესრულების ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქტივზე "კონტროლი" მომხმარებელს გადაეცემა.

შესრულების ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა. ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც კონტროლი აქტივზე გადაეცემა მომხმარებელს და სხვა მომსახურებებიც გაწეულია. შემოსავლის აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც მფლობელობა გადაეცემა მომხმარებელს ან მომსახურება არის გაწეული.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა. ჯგუფის შემოსავლის ძირითადი სახელშეკრულებო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან შემოსავლის განსაზღვრა ხდება ფიქსირებული ფასების მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება . ჯგუფის ხელშეკრულებების არსებითი ნაწილი არის ფიქსირებულფასიანი. ყოველ მომსახურებაზე დგება დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელიც არ მოიცავს დამატებით მომსახურებს. შესაბამისად ჯგუფი მთლიან სახელშეკრულებო ფასს კონკრეტულ ოპერაციებზე ანაწილებს.

3 არსებითი საბუღალტრო პოლიტიკა (გაგრძელება)

ჯგუფს გააჩნია გარკვეული გამონაკლისები:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

საფინანსო შემოსავალი. ჯგუფის საფინანსო შემოსავალი მოიცავს საპროცენტო შემოსავალს ბანკში განთავსებულ თანხებზე. საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საფინანსო ხარჯი. ჯგუფის საფინანსო ხარჯები მოიცავს ფინანსურ ხარჯს რესტრუქტურიზებული ფინანსური ვალდებულებების ამორტიზაციის გავლენაზე. საპროცენტო ხარჯების აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი არ, ან აღარ აკმაყოფილებს საბალანსო უწყისში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებული თანამშრომლების სარგებელი. თანამშრომელთა სარგებლის მოკლევადიანი ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღირიცხება შესაბამისი მომსახურების მიწოდებისას. ვალდებულება აღიარებულია მოკლევადიანი ბონუსის ფარგლებში მოსალოდნელი თანხის გადახდისთვის, თუ ჯგუფს აქვს ამჟამინდელი კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა, როგორც თანამშრომლის მიერ გაწეული წარსული მომსახურების შედეგი და ვალდებულების სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები. პირობითი ვალდებულებები არ აისახება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის ჯგუფიდან გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების სარწმუნოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

პირობითი აქტივები არ აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მაგრამ მათ შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, როდესაც შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის შემოდინება. თუ ეკონომიკურ სარგებელს ადგილი აუცილებლად ექნება, აქტივი და მასთან დაკავშირებული შემოსავალი აღიარებულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა შეფასების ცვლილება.

ანარიცხი არის გაურკვეველი ვადის ან ოდენობის ვალდებულება. ვალდებულება არის საწარმოს მიმდინარე ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად, რომლის ანგარიშსწორებისას მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების საწარმოდან გადინებას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ქმნის იურიდიულ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რის შედეგადაც საწარმოს არ აქვს ამ ვალდებულების ანგარიშსწორების გარდა სხვა სამართლიანი ალტერნატივა.

3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

იურიდიულია ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება:
(ა) ხელშეკრულებიდან (მისი ცალსახა თუ ნაგულისხმევი პირობების მეშვეობით); (ბ) კანონმდებლობიდან; ან (გ) კანონის სხვა მოქმედებიდან.

კონსტრუქციულია ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს საწარმოს ქმედებებიდან, მაშინ, როდესაც:

(ა) წარსული პრაქტიკის, გამოქვეყნებული პოლიტიკის ან საკმარისად კონკრეტული მიმდინარე განაცხადის მიხედვით, საწარმომ მიუთითა სხვა მხარეებს, რომ იგი აიღებს გარკვეულ პასუხისმგებლობას; და

(ბ) შედეგად, საწარმომ შექმნა მართებული მოლოდინი სხვა მხარეების მხრიდან, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და მოვლენები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ავტორიზაციის თარიღამდე, რომლებიც უზრუნველყოფენ დამატებით ინფორმაციას ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ასახულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის თარიღისთვის, წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში, მაშინ, როდესაც ისინი არსებითია.

ცვლილებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ ნებისმიერი ცვლილების განხორციელებისთვის საჭიროა ჯგუფის ხელმძღვანელობის დასტური, ვინც ამ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას გამოსაცემად ამტკიცებს.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და განსჯა სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

ჯგუფი აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯას, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებს, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვანი კორექტირებები მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხებათ მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადა ეფუძნება ხელმძღვანელობის შეფასებებს იმ პერიოდის შესახებ, როდესაც აქტივები გამოიმუშავებენ ამონაგებს , რაც პერიოდულად გადაიხედება. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ცვალებადობა საბალანსო ღირებულებისა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კონკრეტულ პერიოდებში.

სპეციალური დანიშნულების აქტივების და ობლიგაციების გაუფასურების ინდიკატორები. ყოველ საბალანსო თარიღზე ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ჯგუფის აქტივების ანაზღაურებადი თანხა შემცირდა და არის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ განიხილა ყველა შესაბამისი შიდა და გარე ფაქტორი და დაასკვნა, რომ არსებობს გაუფასურების მაჩვენებელი და შედეგად, ჩატარდა გაუფასურების ტესტი ჯგუფის არაფინანსურ აქტივებთან მიმართებაში. შესაბამისად, 2,704 ათასი ლარის ოდენობის გაუფასურების ზარალი (2022 წელი: ნული) აისახა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 9.

5 ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდგომი ახალი სტანდარტები და შესწორებები ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან:

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გაწმარტებისას. ცვლილებებმა გავლენა მოახდინა ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნებზე, მაგრამ არა ჯგუფის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში რომელიმე მუხლის შეფასებაზე, აღიარებაზე ან წარდგენაზე.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის)

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის).

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ).

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ბასს 12 „მოგების გადასახადები“ -შესწორებები: საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა - მეორე კომპონენტის სამოდელო წესები (გამოცემულია 2023 წლის 23 მაისს).

შესწორებების გამოყენებას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

6 საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ დაწყებული პერიოდებისთვის, რომლებიც ჯგუფს მანამდე არ გამოუყენებია.

შესწორებები ფასს 16-ში: იჯარა: იჯარის ვალდებულება გაყიდვასა და უკუიჯარაში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს , შემდგომში შესწორდა 2020 წლის 15 ივლისს და 2022 წლის 31 ოქტომბერს, საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ).

ბასს 7-ის „ფულადი ნაკადების ანგარიშგება" და ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები" შესწორებები: მიმწოდებლის საფინანსო შეთანხმებები (გამოცემულია 2023 წლის 25 მაისს)

ფასს 14, გადავადებული სატარიფო სხვაობების ანგარიშები (გამოცემულია 2014 წლის 30 იანვარს და ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება ბასს-ის მიერ განსაზღვრული თარიღით, ან მის შემდეგ).

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს, ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა, ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით, ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს, ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვარს, ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ფასს 18-წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში (გამოცემულია 2024 წლის 9 აპრილს და ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვარს, ან მას შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7 ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულად ითვლება, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან თუ ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა ან საერთო კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერაციული გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ეთმობა ურთიერთობის არსს და არა მხოლოდ იურიდიულ ფორმას.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარ ხელმძღვანელი პირებისთვის გადახდილი ანაზღაურება მათი მომსახურებისთვის სრული განაკვეთით აღმასრულებელი მენეჯმენტის პოზიციებზე შედგება სახელშეკრულებო ხელფასისა და სხვა კომპენსაციისგან. მთავარი ხელმძღვანელი პირები მოიცავს ჯგუფის დირექტორს და დეპარტამენტების უფროსებს. მთავარი ხელმძღვანელი პირების მთლიანმა ანაზღაურებამ შეადგინა 518 ათასი ლარი (2022 წელი: 377 ათასი ლარი).

8 ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობა-ნაგებობები	განვითარების ფაზაში მყოფი პროექტები	საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	ავტომობილები	სულ
პირვანდელი ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	**1,581**	**746**	**3,121**	**426**	**359**	**6,233**
დამატებები	-	-	1,098	22	178	**1,298**
მესაკუთრეების მიერ არაფულადი აქტივების შენატანი	1,324	-	-	-	-	**1,324**
არაფულადი აქტივების განაწილება მესაკუთრეებზე	-	(739)	-	-	-	**(739)**
გასვლა	-	(7)	(2,059)	(82)	(35)	**(2,183)**
2022 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,160**	**366**	**502**	**5,933**
დამატებები	-	-	924	91	332	**1,347**
გასვლა	-	-	(448)	-	(65)	**(513)**
2023 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,636**	**457**	**769**	**6,767**
დაგროვილი ცვეთა						
2022 წლის 1 იანვარი	**-**	**-**	**-**	**(272)**	**(155)**	**(427)**
ცვეთის დარიცხვა	-	-	-	(40)	(63)	**(103)**
გასვლები	-	-	-	3	15	**18**
2022 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**-**	**(309)**	**(203)**	**(512)**
ცვეთის დარიცხვა	-	-	-	(26)	(19)	**(45)**
გაუფასურების დარიცხვა	-	-	(1,643)	-	-	**(1,643)**
გასვლები	-	-	-	-	57	**57**
2023 წლის 31 დეკემბერი	**-**	**-**	**(1,643)**	**(335)**	**(165)**	**(2,143)**
წმინდა საღრიცხვო ღირებულება						
2022 წლის 1 იანვარი	**1,581**	**746**	**3,121**	**154**	**204**	**5,806**
2022 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**2,160**	**57**	**299**	**5,421**
2023 წლის 31 დეკემბერი	**2,905**	**-**	**993**	**122**	**604**	**4,624**

ტესტი გაუფასურებაზე

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ გამოავლინა შპს „ბორჯომის ელექტროსადგურში“ (BPP) ჯგუფის ინვესტიციების გაუფასურების ინდიკატორები. წინასწარმა ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულება შეიძლება მათ საბალანსო ღირებულებაზე დაბალი იყოს. შესაბამისად, ხელმძღვანელობამ ჩაატარა გაუფასურების ტესტი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად.

ხელმძღვანელობამ გარე დამოუკიდებელი შემფასებელი დაიქირავა BPP-ში ინვესტიციების ანაზღაურებადი ღირებულების განსასაზღვრად. მათ შეაფასეს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ანაზღაურებადი ღირებულება, როგორც უფრო მაღალი, ვიდრე შესაბამისი გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება (FVLCD) და გამოყენების ღირებულება (VIU).

გამოყენების ღირებულების გამოანგარიშებისთვის გამოყენებული იყო დისკონტირებული ფულადი ნაკადების (DCF) მეთოდი და შვილობილ კომპანიაში ინვესტიციის წმინდა დღევანდელი ღირებულების მისაღებად შემოსავლის მიდგომის საფუძველზე, გამოყენებული იყო 10-წლიანი დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. ვინაიდან სავარაუდოა, რომ საკუთრება გააგრძელებს ფულადი ნაკადების წარმოქმნას საპროგნოზო პერიოდის მიღმა, მისი ღირებულება იმ მომენტისთვის („საბოლოო ღირებულება“) შეფასებულია და დისკონტირდება დღევანდელ ღირებულებამდე.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (ძირითადი საშუალებები) საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 3,172 ათასი ლარი, რაც ნაკლებია მის ანაზღაურებად ღირებულებაზე 1,529 ათასი ლარის ოდენობით და გაუფასურების ზარალი 1,643 ათასი ლარის ოდენობით აღიარდა მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკის მონაცემების საფუძველზე სამართლიანი ღირებულების შეფასებას მიენიჭა მე-3 დონის სამართლიანი ღირებულების კატეგორია.

გამოყენების ღირებულების გამოთვლებისთვის გამოყენებული დაშვებები, რომელთა მიმართ ანაზღაურებადი ღირებულება ყველაზე მგრძნობიარეა, იყო: შეფასებული საიჯარო განაკვეთი 9-11 აშშ დოლარი კვადრატულ მეტრზე და დისკონტრების განაკვეთი 15,59%.

მოცემული შეფასებული იჯარის განაკვეთები რომ გაზრდილიყო ან შემცირებულიყო 1%-ით, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯამური სამართლიანი ღირებულება იქნებოდა შესაბამისად 120 ათასი ლარით მეტი ან 120 ათასი ლარით ნაკლები.

მოცემული დისკონტირების განაკვეთი რომ გაზრდილიყო ან შემცირებულიყო 1%-ით, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ჯამური სამართლიანი ღირებულება იქნებოდა შესაბამისად 80 ათასი ლარით ნაკლები ან 90 ათასი ლარით მეტი.

9 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში

	ფლობილი საკუთრების წილი			
ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
შპს პარვუს (i)	-	49.99%	-	4,267
შპს ჩორდულა ჰესი (ii)	45%	45%	2,266	1,664
შპს საქართველოს მზის კომპანია	10%	10%	543	544
შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური (iii)	50%	20%	1,227	423
შპს პარვუს ბასრა (iv)	49.9%	-	11,949	-
სს ჩალიკ ჯორჯია ვინდ	15%	15%	815	579
სულ			**16,800**	**7,477**

i) 2022 წელს კომპანიამ დააარსა შპს „პარვუსი“ წილებზე შესაბამისად ფუთ და ქოლ ოფციონებით, კომპანიისთვის და შპს „პარვუს ჯგუფისთვის“, რომელიც ფლობს დარჩენილ 50.01%-იან წილს. შპს „პარვუს“ დუშეთისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში მდებარე ოთხი ჰესის მშენებლობას აწარმოებს. 2023 წელს ქოლ-ოფციონი გამოყენებული იყო შპს პარვუს ჯგუფის მიერ, შედეგად ინვესტიციების რეალიზაციით მიღებულმა მოგებამ 1,880 ათასი ლარი შეადგინა. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთი წლის ბოლოს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო ნულის ტოლი (2022 წ. 31 დეკემბერი: 343 ათასი ლარი)

(ii) შპს ჩორდულა ჰესი 2022 წლის აპრილიდან ეწეოდა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას და მის ექსპლუატაციას რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში. კომპანია ფლობს 45%-ს, ხოლო დარჩენილი 55% შპს რაჭა ენერჯის საკუთრებაშია. საინვესტიციო ხელშეკრულება მოიცავს წილებზე ფუთ და ქოლ ოფციონებს რომელიც ძალაშია მუშაობის დაწყებიდან (2022 წლის 6 დეკემბერი) მომდევნო 3 წლის განმავლობაში. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წლის ბოლოს არსებული ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 694 ათასი ლარი (2022 წ. 31 დეკემბერი: 461 ათასი ლარი)

(iii) 2023 წელს კომპანიის წილი შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურში გაიზარდა 30 %-ით მფლობელის მიერ განხორციელებული კაპიტალ-შენატანის საფუძველზე (იხილეთ შენიშვნა 14)

(iv) 2023 წელს კომპანიამ დააარსა შპს „პარვუს ბასრა“ წილებზე ფუთ და ქოლ ოფციონით, შესაბამისად კომპანიისთვის და შპს „პარვუს ჯგუფისთვის“, რომელიც ფლობს დარჩენილ 50. 1%-იან წილს. შპს „პარვუს ბასრა“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში მდებარე სამი ჰესის მშენებლობაშია ჩართული. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ნაშთი წლის ბოლოს, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო 921 ათასი ლარი.

10 საგადასახადო აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრიდან გადასახადები ირიცხება ერთიან სახაზინო კოდექსზე. შედეგად, ჯგუფის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე.

11 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
სავაჭრო მოთხოვნები სხვა მხარეებისგან	10,406	10,407
სულ ფინანსური აქტივები	**10,406**	**10,407**
გადახდილი ავანსები	29	17
სულ არაფინანსური აქტივები	**29**	**17**
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**10,435**	**10,424**
წმინდა გაუფასურების ზარალი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე *	(10,405)	(10,405)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	**30**	**19**

შემდეგი ცხრილი განმარტავს ცვლილებებს საკრედიტო ზარალის ანარიცხებში სავაჭრო მოთხოვნებზე წლიური პერიოდის დასაწყისსა და დასასრულს შორის

ათასი ლარი	2023	2022
1 იანვარს	**10,405**	**10,405**
გაუფასურების ანარიცხის ზრდა *	-	-
31 დეკემბერს	**10,405**	**10,405**

* 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს ნამახვანს გააჩნია შპს ქლინ ენერჯი ჯორჯიასთვის აქტივების მიყიდვიდან წარმოქმნილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნა (რომელიც ეწოდა შპს ენკა რინიუებლზ), რომელიც წარმოიშვა ნამახვან ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით 2019 წელს. მას შემდეგ, რაც სამშენებლო პროცესი შეჩერდა 2021 წელს, ჯგუფის ხელმძღვანელობამ შექმნა 100%-იანი გაუფასურების ანარიცხი შესაბამის სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებაში.

ჯგუფის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც კლასიფიცირებულია როგორც „ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები “, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ლიკვიდობისა და ვალუტის შესახებ მოცემულია მე-18 შენიშვნაში.

12 ვადიანი დეპოზიტები

თანხები საკრედიტო ინსტიტუტებიდან წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს 90 დღეზე მეტი ვადით. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰქონდა 43,000 ათასი ლარის დეპოზიტები სს პაშა ბანკში, სს ლიბერთი ბანკსა და სს ტერა ბანკში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ჰქონდა 54,000 ათასი ლარის დეპოზიტები სს „პაშა ბანკში“ და სს „ლიბერთი ბანკში“.

ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო შემოსავალი იყო 6,924 ათასი ლარი (2022 წელი: 6,750 ათასი ლარი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ვადიანი დეპოზიტების საკრედიტო ხარისხი საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
- საუკეთესო	29,000	-
- კარგი	14,000	54,000
სულ	**43,000**	**54,000**

13 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები ბანკში ლარში	4,161	824
ფულადი სახსრები ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	2
სულ	**4,161**	**826**

საპროცენტო შემოსავალი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე იყო 171 ათასი ლარი (2022 წელი: 398 ათასი ლარი).

ქვემოთ მოცემული ცხრილი განმარტავს ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნაშთების საკრედიტო ხარისხს საკრედიტო რისკის ხარისხების მიხედვით. ჯგუფის საკრედიტო რისკის შეფასების სისტემის აღწერისთვის იხილეთ შენიშვნა 18.

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
- საუკეთესო	4,161	824
- კარგი	-	2
სულ	**4,161**	**826**

14 სააქციო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას ჰქონდა 49,755 ათასი (2022: 49,101 ათასი) ავტორიზებული, გამოშვებული და მთლიანად ანაზღაურებული აქცია, თითოეულის ნომინალური ღირებულებით 1 ლარი.

2023 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა შპს ენგურის ჰიდრომააკუმულირებელ ელექტროსადგურში წილის დამატებითი 30%-ის შენატანის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულებით 654 ათასი ლარი, რაც განსაზღვრულია დამოუკიდებელი შემფასებელი ფირმის მიერ.

2022 წელს კომპანიის სააქციო კაპიტალი გაიზარდა მაში განხორციელებული შენატანით, რაც წარმოადგენდა 1,324 ათასი ლარის მიწას და 3,722 ათასი ლარის მარაგს და შემცირდა შპს „ენგურის ტურისტულ ცენტრში“ ჩადებული, 3,605 ათასი ლარის ინვესტიციის გატანის მეშვეობით და 739 ათასი ლარის შენობა-ნაგებობების ამოღების მეშვეობით.

15 პროფესიული მომსახურების და სხვა დანახარჯები

ათასი ლარი	**2023**	**2022**
პროფესიული მომსახურება*	(1,110)	(1,213)
ქირავნობის ხარჯი	(281)	(279)
საჩუქრად მზის პანელები სოფლის სკოლებს	(255)	-
მივლინებები	(242)	(149)
საწვავის საფასური	(199)	(209)
სარეკლამო ხარჯი	(183)	(60)
წარმომადგენლობითი დანახარჯები	(105)	(72)
საწვავის ხარჯი	(71)	(33)
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	(55)	(47)
რემონტი და მოვლა-შენახვა	(49)	(34)
ოფისის ხარჯი	(28)	(10)
კომუნალურები	(18)	(16)
საკომუნიკაციო ხარჯები	(12)	(12)
დაზღვევა	(12)	(7)
სხვა დანახარჯები	(253)	(334)
სულ	**(2,873)**	**(2,514)**

16 საპროცენტო შემოსავალი, ნეტო

ათასი ლარი	2023	2022
საპროცენტო ხარჯი:		
სს თიბისი ბანკი	(4)	(4)
სულ საპროცენტო ხარჯი	**(4)**	**(4)**
საპროცენტო შემოსავალი		
სს პაშა ბანკი	3,897	2,296
სს ლიბერთი ბანკი	2,129	2,322
სს ტერა ბანკი	923	-
სს თიბისი ბანკი	146	1,388
სს საქართველოს ბანკი	-	628
სს ლიბერთი ბანკი სს ვითიბი ბანკი	-	518
სულ საპროცენტო შემოსავალი	**7,095**	**7,152**
საპროცენტო შემოსავალი, ნეტო	**7,091**	**7,148**

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სასამართლო დავები. საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლება მიღებულ იქნას პრეტენზიები ჯგუფის წინააღმდეგ. ხელმძღვანელობას, თავისი შეფასებების და ორივე, შიდა და გარე პროფესიული რჩევის საფუძველზე, მიაჩნია, რომ პრეტენზიებთან დაკავშირებით არ წარმოიქმნება რაიმე არსებითი ზარალი რომელიც გადააჭარბებს ანარიცხებს, რომლებიც შექმნილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაზღვევა. სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარებად ქვეყანაშია და სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა, რომელიც გავრცელებულია მსოფლიოს სხვა ნაწილებში, ჯერ არ არის ზოგადად ხელმისაწვდომი. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო დაფარვა მისი ობიექტებისთვის, ბიზნესის შეფერხების ან მესამე მხარის პასუხისმგებლობისთვის, საკუთრების ან გარემოსდაცვითი ზიანისთვის, რომელიც წარმოიქმნება ჯგუფის საკუთრებაზე მომხდარი უბედური შემთხვევასთან ან ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებით. სანამ ჯგუფი მიიღებს ადეკვატურ სადაზღვევო დაფარვას, არსებობს რისკი იმისა, რომ გარკვეული აქტივების დაკარგვამ ან განადგურებამ შეიძლება არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე.

საგადასახადო გაუთვალისწინებელი მოვლენები . საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, დამატებითი გადასახადების, ჯარიმებისა და საურავების მიმართ არანაირი ვალდებულება არ შეიძლება იყოს დაკისრებული საგადასახადო ორგანოების მიერ მას შემდეგ, რაც გავა სამი წელი იმ წლის ბოლოდან, როდესაც დარღვევას ადგილი ჰქონდა.

ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მას ადექვატური უზრუნველყოფა აქვს საგადასახადო ვალდებულებებისთვის, ახალი და ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებებისთვის. თუმცა, შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები, შესაძლოა იყოს განსხვავებული და გავლენა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, თუკი ორგანოები წამატებით მოიყვანენ მოქმედებაში მათ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

17 გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. ჯგუფი პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და საზრუნავზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე, ჯგუფის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე მომავალი ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და საჭიროებისამებრ უპასუხებს მათ ჯგუფის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, თუ და როდესაც ეს გაიცემა იმ ბაზრებზე, რომლებშიც ჯგუფი ოპერირებს.

18 ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ექვემდებარება რისკებს, რომლებიც წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს შენიშვნა აღწერს ჯგუფის მიზნებს, პოლიტიკას და პროცესებს ამ რისკების მართვისთვის და მათი შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებით დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების, რომლებიც ლიკვიდურია ან აქვთ მოკლევადიანი ვადა, საბალანსო ღირებულება ითვლება, რომ უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები, რომლებისთვისაც ჯგუფი ექვემდებარება რისკის წარმოქმნას, არის შემდეგი:

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	10,406	10,407
საგადასახადო აქტივი	10	37	50
ვადიანი დეპოზიტები	12	43,000	54,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,161	826
სულ ფინანსური აქტივები		**57,604**	**65,283**
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		47	153
სულ ფინანსური ვალდებულებები		**47**	**153**
ლიკვიდობის სხვაობა		**57,557**	**65,130**

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები. ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკის მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრაზე და, სანამ ინარჩუნებს მათზე საბოლოო პასუხისმგებლობას, მას აქვს დელეგირებული უფლებამოსილება შექმნას და ოპერირება გაუწიოს პროცესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მიზნებისა და პოლიტიკის ეფექტურ დანერგვას ორგანიზაციის ფინანსურ ფუნქციებში .

ხელმძღვანელობის საერთო მიზანია ჩამოაყალიბოს პოლიტიკა, რომელიც შეძლებისდაგვარად შეამცირებს რისკებს ჯგუფის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე ზედმეტი ზემოქმედების გარეშე. ამ პოლიტიკის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია ქვემოთ.

თავისი ოპერაციების მეშვეობით ჯგუფი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდობის რისკი
- საბაზრო რისკი
- სავალუტო რისკი
- საპროცენტო განაკვეთის რისკი

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე მეორე მხარისთვის გამოიწვევს ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკზე დაქვემდებარება წარმოიქმნება სავაჭრო მოთხოვნებიდან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებიდან და კონტრაჰენტებთან სხვა ოპერაციების შედეგად, რომლებიც წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო დაქვემდებარებას.

საკრედიტო რისკისადმი მაქსიმალური დაქვემდებარება საანგარიშგებო თარიღებზე შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	შენიშვნა	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	10,406	10,407
საგადასახადო აქტივები	10	37	50
ვადიანი დეპოზიტები	12	43,000	54,000
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13	4,161	826
სულ ფინანსური აქტივები		**57,604**	**65,283**

საკრედიტო რისკის ქულების მინიჭების სისტემა. საკრედიტო რისკის შესაფასებლად და ფინანსური ინსტრუმენტებისთვის ქულების მისანიჭებლად ჯგუფი იყენებს რისკის დონეზე დაფუძნებულ მიდგომას, რომლებიც შეფასებულია გარე, საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების (როგორიცაა Standard & Poor's - "S&P") მიერ შეფასებული რისკის ქულებით. შიდა და გარე საკრედიტო რეიტინგები დაიტანება ადგილზე შედგენილ ძირითად შკალაზე, სადაც მითითებულია დეფოლტის ალბათობის ინტერვალი, რაც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია განმარტებული:

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალა	გარე საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების შესაბამისი რეიტინგები (S&P)	შესაბამისი დეფოლტის ალბათობის ინტერვალი
საუკეთესო	AAA-დან BB+-კენ	0.01% – 0.1%
კარგი	BB -დან B+ -კენ	0.1% – 0.15%
დამაკმაყოფილებელი	B, B-	0.15% – 10%
სპეციალური მონიტორინგი	CCC+ -დან CC- -კენ	10% – 99.9%
დეფოლტი	C, D-I, D-II	100%

საკრედიტო რისკის ქულების ძირითადი შკალის ქულები მიენიჭება კრედიტუნარიანობის კონკრეტულ ხარისხს:

- *საუკეთესო* – მაღალი საკრედიტო ხარისხი, დაბალი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *კარგი* – სათანადო საკრედიტო ხარისხი, საშუალო მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *დამაკმაყოფილებელი* – საშუალო საკრედიტო ხარისხი, დამაკმაყოფილებელი მოსალოდნელი საკრედიტო რისკით;
- *სპეციალური მონიტორინგი* – საჭიროებს მჭიდრო მონიტორინგსა და გამოსწორებით მენეჯმენტს; და
- *დეფოლტი* – ობიექტები, სადაც ადგილი ჰქონდა დეფოლტს.

რეიტინგის მოდელების მიმოხილვას რეგულარულად ატარებს ხელმძღვანელობა, ის ახორციელებს დეფოლტის ფაქტობრივ მონაცემებზე გამოცდას და განაახლებს მათ, საჭიროების შემთხვევაში. მიუხედავად გამოყენებული მეთოდისა, ჯგუფი რეგულარულად ახორციელებს რეიტინგის შეფასებების სისწორის დადასტურებას და აფასებს მოდელების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ ჯგუფს შეექმნება სირთულეები მის ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაში, რომლების ანგარიშსწორება გათვალისწინებულია ხელშეკრულებებში, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად იმოქმედოს ჯგუფის ფუნქციონირებადობაზე. 2023 წლის 31 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ გააჩნდა მნიშვნელოვანი ლიკვიდობის რისკი.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება შემცირდეს საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ჯგუფის მიერ პროცენტიანი და უცხოურ ვალუტაში ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. ეს არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) ცვლილების გამო.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების გამო. ჯგუფი ექვემდებარება მოქმედი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის რყევების გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტაში:

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი ევრო	2023 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი	2022 წლის 31 დეკემბერი ევრო	2022 წლის 31 დეკემბერი აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	-	-	-	2
სულ ფინანსური აქტივები	**-**	**-**	**-**	**2**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	-	99	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**-**	**-**	**99**	**-**
ღია საბალანსო პოზიცია	**-**	**-**	**(99)**	**2**

ვალუტის კურსის მგრძნობელობა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დეტალურად აღწერს ჯგუფის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის კურსების 20%-ით მატება-კლების მიმართ ლართან მიმართებაში და წარმოადგენს ხელმძღვანელობის შეფასებას უცხოური ვალუტის კურსების შესაძლო ცვლილების შესახებ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ კონვერტაციას წლის ბოლოს ძირითადი უცხოური ვალუტის კურსის 20%-იანი ცვლილებისთვის.

გავლენა სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე და საკუთარ კაპიტალზე, რაც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი გავლენა მოგებაზე ან ზარალზე	2022 წლის 31 დეკემბერი გავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	-	-
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	-	-
ევროს გამყარება 20%-ით	-	(20)
ევროს გაუფასურება 20%-ით	-	20

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი (ცვლადი ღირებულებით), რომელიც დაკავშირებულია პროცენტიან ვალდებულებებთან ცვლადი განაკვეთის გამო. ჯგუფს აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი რესტრუქტურიზებულ სავაჭრო ვალდებულებებსა და საოჯარო ვალდებულებებზე. ჯგუფმა შეაფასა საოჯარო ვალდებულებების ზღვრული საპროცენტო განაკვეთი და გამოითვალა ის, როგორც საშუალო შეწონილი განაკვეთი, რომლითაც შესაძლებელია მსგავსი ნასესხები სახსრების მოპოვება დამოუკიდებელი კრედიტორისგან შესადარებელი პირობებით. რესტრუქტურიზებული სავაჭრო ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკებს. ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის პროცენტიანი ფინანსური აქტივებისა და პროცენტიანი ფინანსური ვალდებულებების აგრეგირებული თანხები საბალანსო ღირებულებით 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

18 ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
სულ პროცენტიანი ფინანსური აქტივები	43,000	54,000
წმინდა ვალი	**43,000**	**54,000**

კაპიტალის მართვა. ჯგუფის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას ჯგუფის შესაძლებლობა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ; და
- აქციონერებისთვის უზრუნველყოს ადეკვატური უკუგება

ჯგუფი ადგენს კაპიტალის საჭირო რაოდენობას რისკის პროპორციულად. ჯგუფი მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და ახორციელებს კორექტირებას საიჯარო აქტივების ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ფონზე.

19 სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი სამართლიანი ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონეა იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება; (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი რესურსი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ., ფასები) ან ირიბად (მაგ., წარმოებულია ფასებიდან) და (iii) მესამე დონის შეფასებებია, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ დაუკვირვებადი მონაცემები). ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება მე-3 დონეა. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება, მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ხელმძღვანელობამ გამოიყენა ყველა არსებული საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად და ხელმძღვანელობა თვლის, რომ მისი მოკლევადიანი მოთხოვნების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას.

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ ფასდება, მაგრამ რომელთა სამართლიანი ღირებულება უნდა გამჟღავნდეს განმარტებით შენიშვნებში. იმ აქტივების, რომლებიც არ ფასდება სამართლიანი ღირებულებით, სამართლიანი ღირებულების ანალიზი, სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით და საბალანსო ღირებულება შემდეგია:

19 სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

ათასი ლარი	2023 წლის 31 დეკემბერი				2022 წლის 31 დეკემბერი			
	სამართლიანი ღირებულება პირველი დონე	სამართლიანი ღირებულება მე-2 დონე	სამართლიანი ღირებულება მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება პირველი დონე	სამართლიანი ღირებულება მე-2 დონე	სამართლიანი ღირებულება მე-3 დონე	საბალანსო ღირებულება
აქტივები								
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით								
- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	36	-	36	-	19	-	19
- ვადიანი დეპოზიტები	43,000	-	-	43,000	54,000	-	-	54,000
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,161	-	-	4,161	826	-	-	826
არაფინანსური აქტივები -ძირითადი საშუალებები	-	-	1,529	1,529	-	-	-	-
სულ აქტივები	**47,161**	**36**	**1,529**	**48,726**	**54,826**	**19**	**-**	**54,845**
ვალდებულებები								
სხვა ფინანსური ვალდებულებები								
- სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	55	-	-	55	-	155	-	155
სულ ვალდებულებები	**55**	**-**	**-**	**55**	**-**	**155**	**-**	**155**

სამართლიანი ღირებულებები იერარქიის მე-2 და მე-3 დონეებში შეფასდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. ფიქსირებული განაკვეთის ინსტრუმენტების, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, სამართლიანი ღირებულება შეფასდა შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების (რომელთა მიღება მოსალოდნელია) დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნიათ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. საზოგადოდ, ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებულის, ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

20 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 10 აპრილს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის შემცირების შესახებ 1,085 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

2024 წლის 10 აპრილს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 4,236 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

2024 წლის 31 მაისს კომპანიის აქციონერმა მიიღო გადაწყვეტილება საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ 1,050 ათასი ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებების უნაღდო განაწილების გზით.

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N240950441
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	25.07.2024 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	სალომე სალუქვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული, კომერციული ფართი #4, 3ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	577921111
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	65735813531424

ორიათას ოცდაოთხი წლის ოცდახუთ ივლისს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, 1 სართული, კომერციულ ფართ #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარჯიმნის ქეთევან ბეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ. პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #11IB13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./ ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - ჯი-ი-დი-ეფ ჯგუფი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამლოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა 2023წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმნის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმნის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე. გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.4-ე მუხლის თანახმად 117.00 ლარი, საქართველოს საგადასახადო კოდექსისი 166-ე მუხლის თაანხმად 21.06 ლარი და 39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის 5.00 ლარი. სულ გადახდილია 143.06 ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18





სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

2024

სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა....3
2. ინფორმაცია ფონდის საინვესტიციო საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ 5
შპს “მასდარ ჯორჯია ენერჯი”....5
სს “ჩალიკ ჯორჯია ვინდ”....6
შპს „პარვუს ბასრა“....6
შპს “ბორჯომჰესი”....7
შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“....7
შპს “ჩორდულა ჰესი”....8
შპს “პარვუსი”....8
შპს “საქართველოს მზის კომპანია”....9
შპს „ ბიომას ენერჯი“....9
შპს „სოლარე ჯორჯია“....10
სს “ნამახვანი”....10
პროექტი: საქართველოს საჯარო სკოლებში(თბილისისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მზის ფოტოვოლტური ენერგიის დანერგვის პროექტი....11
2023 – 2024 წლის პროექტები:....11
3. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა....13
4. განვითარების გეგმები....13
5. ძირითადი რისკები და მათი გამანეიტრალებელი ღონისძიებები....14

1. საქმიანობის მიმოხილვა

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი” (შემდგომში - ფონდი), რომლის აქციების 100%-ის მფლობელია სახელმწიფო, დაარსდა 2010 წლის 13 დეკემბერს. 2010 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები მართვის უფლებით გადაეცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს. 2012 წლის 27 სექტემბერს, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის გადაწყვეტილებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შეერწყა სს „GGEDC“, რის შედეგადაც განხორციელდა ამ კომპანიის ლიკვიდაცია, ხოლო მისი უფლებამონაცვლე გახდა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“.

2017 წელს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გაერთიანების შედეგად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ მართვა დაუბრუნდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს.

ფონდის საქმიანობას წარმოადგენს - ინვესტიციების მოზიდვა ენერგეტიკის სფეროში.

ფონდის მისიაა - ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას, შესაბამისი ფონდების მოძიებას, პროექტების განვითარებას მათი ეფექტიანი განხორციელების გზით. ფონდის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს განახლებადი ენერგიის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე ფონდი ეწევა შემდეგ საქმიანობებს:

- წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება;
- პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;
- პროექტის გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;
- ინვესტორების მოძიება და დაინტერესება არსებული პროექტებით;
- ენერგეტიკული ბაზრის ტრენდების შესწავლა;
- სახელმწიფო დაწესებულებებთან, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

ფონდის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს ასევე საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ენერგეტიკის სფეროში, რაც მოიცავს საპროექტო და კვლევით, იურიდიულ და ფინანსურ მომსახურებებს.

- **2023 – 2024 წლის სტრუქტურული ცვლილებები**

2023 წლის 10 აპრილს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით განხორციელდა ფონდის წესდების ცვლილება, შეიქმნა აუდიტისა და ეთიკის კომიტეტები, დამტკიცდა კომიტეტების დებულება და არჩეულ იქნა კომიტეტის წევრები.

- ეთიკის კომიტეტი

ეთიკის კომიტეტის მიზანია ეთიკის კოდექსით დადგენილი ეთიკური ღირებულებების დამკვიდრება და ზედამხედველობა, ფონდის საერთო ეთიკური სიჯანსაღის მონიტორინგი და შესაბამისი წესების დაცვა. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია გამოიძიოს ეთიკის კოდექსისა და სხვა შიდა წესების დარღვევის/დარღვევებზე მითითების შესახებ ცნობები მამხილებელთა დაცვის პოლიტიკით დარეგულირებული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ეთიკის კომიტეტი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მან შეიძლება აღნიშნული გამოძიების მიზნით მოითხოვოს ნებისმიერი თანამშრომლისგან, პარტნიორისგან და ა.შ.

ეთიკის კომიტეტი შედგება 3 წევრისგან. კომიტეტის თავმჯდომარე ახორციელებს კომიტეტის წევრთა საქმიანობის კოორდინაციასა და საერთო ზედამხედველობას.

- აუდიტის კომიტეტი

აუდიტის კომიტეტის შექმნის მიზანს წარმოადგენდა ფონდის ხელმძღვანელი პირებისა და სტრუქტურული ერთეულების მიერ, ფონდის საქმიანობის წესდებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვის კონტროლი.

აუდიტის კომიტეტის ძირითადი ამოცანები და ფუნქციები არის შემდეგი:

1. ფონდის საქმიანობის კონტროლი ფონდის წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. ფონდის ფინანსური სახსრების მართვის კონტროლი;

3. შესყიდვის პროცედურების განხორციელების კონტროლი;

4. ფონდში მოქმედი პროცედურებისა და დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებების შესრულების კონტროლი;

5. დისციპლინარული პროცედურების განხორციელების კონტროლი, მათ შორის შესაბამისობის ოფიცერის საქმიანობის შემოწმება შესაბამისი პოლიტიკებით დადგენილი პერიოდულობით;

6. თითოეული საანგარიშო წლის განმავლობაში ფონდის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესწავლა და შესაბამისი დასკვნის მომზადება;

7. ფონდის აქციონერთა საერთო კრების სხვადასხვა დავალებების შესრულება;

8. ფონდის აქციონერთა საერთო კრებისთვის ანგარიშების წარდგენა;

აუდიტის კომიტეტის დაქვემდებარების ქვეშ ჩამოყალიბდა შიდა აუდიტის სამსახური. შიდა აუდიტის სამსახურის შექმნის მიზანი იყო დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება, რომელიც გაწევდა საკონსულტაციო და მარწმუნებელ საქმიანობას, საკითხების სისტემური და კომპლექსური შესწავლა-შემოწმების, რისკების მართვისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას. სამსახური ეხმარება ფონდს საქმიანობის სრულყოფაში და დასახული მიზნების განხორციელებაში.

შიდა აუდიტის დებულების შედგენისას შიდა აუდიტის სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტთან (ჰარმონიზაციის ცენტრთან). დებულება შეიქმნა ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიური დოკუმენტების გათვალისწინებით, ასევე შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით, ეთიკის კოდექსით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.

შიდა აუდიტის სამსახურის დებულების თანახმად შიდა აუდიტის უფროსი, არის ანგარიშვალდებული მხოლოდ საზოგადოების დირექტორის და აუდიტის კომიტეტის წინაშე. სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საზოგადოების დირექტორი, საქართველოს შრომის კოდექსისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის და საზოგადოების წესდების შესაბამისად.

2. ინფორმაცია ფონდის საინვესტიციო საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ

<u>შპს “მასდარ ჯორჯია ენერჯი”</u>

პარტნიორ(ები):

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 10%

„Abu Dhabi Future Energy Company PJSC „ – Masdar – 90 %

ადგილმდებარეობა: გარდაბანი მუნიციპალიტეტი.

სიმძლავრე: 96 მგვტ;

გამომუშავება: 214 მლნ.კვტ.სთ;

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 დეკემბრის განკარგულების N2387 საფუძველზე, სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და ABU DHABI FUTURE ENERGY COMPANY PJSC – MASDAR-ს შორის, 2021 წლის 29 დეკემბერს, Dubai Expo 2020 - ზე საქართველოს სამთავრობო ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ და “ABU DHABI FUTURE ENERGY COMPANY PJSC – MASDAR ვგეგმავთ საქართველოში, გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახალ სამგორში, დიდი სიმძლავრის პირველი მზის ელექტროსადგურის ერთობლივ განვითარებას. კომპანია „Masdar”-ის მიერ მომზადებული იქნა ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევა, რის საფუძველზეც, საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ დაიწყო საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროცედურების მიხედვით პროექტის განვითარების პროცესი.

2022 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობამ მოიწონა კონცეფციის ბარათი და გამოუშვა განკარგულება „ახალი სამგორის“ მზის ელექტროსადგურის პროექტის კონცეფციის მოწონებისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე.

2023 წლის 21 დეკემბერს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ და Abu Dhabi Future Energy Company PJSC – Masdar-მა დააფუძნეს ერთობლივი საწარმო, შვილობილი კომპანია შპს „მასდარ ჯორჯია ენერჯი“.

2024 წელს გაფორმდა საქართველოს მთავრობასთან კვლევითი მემორანდუმი და მემორანდუმის დანართის შესაბამისად კომპანია ასრულებს კვლევებს. ასევე კომპანიამ შეიტანა განაცხადი სსე-ში ქსელზე მიერთების მოთხოვნით. კომპანია აქტიურად მუშაობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე.

<u>სს “ჩალიკ ჯორჯია ვინდ”</u>

პარტნიორ(ები):

სს „ჩალიკ ენერჯი სანაი ვე თიჯარეთ“- 85%

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 15%

პროექტის დასახელება: ნიგოზას ქარის ელექტროსადგური;

ადგილმდებარეობა: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელ ნიგოზასთან;

სიმძლავრე: 50 მგვტ;

გამომუშავება: 200 მლნ.კვტ.სთ;

საქართველოს მთავრობასა და სს „ჩალიკ ჯორჯია ვინდ“-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა 2016 წლის 29 მარტს. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ქარის მონაცემთა შესწავლა შემდგომში ქარის ელეტროსადგურ(ებ)ის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით. 2019 წელს მთავრობამ მოიწონა საჯარო და კერძო თანამშრომლობის ფარგლებში მომზადებული კონცეფციის ბარათი. კონცეფციის ბარათის ფარგლებში მოწონებული იქნა ელექტროენერგიის გარანტირებულად შესყიდვის ფასიც. 2024 წლის მეოთხე კვარტალში ხელი მოეწერება სამშენებლო მემორანდუმს და პროექტი გადავა სამშენებლო ეტაპზე.

<u>შპს „პარვუს ბასრა“</u>

პარტნიორ(ები):

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ – 49,9%

შპს „პარვუს ჯგუფი“ - 50,1%

დადგმული სიმძლავრე: 6,84 მგვტ.

გამომუშავება: 51,5 მლნ კვტ.სთ

ადგილმდებარეობა: გურიისა და აჭარის რეგიონები.

2023 წელს შპს „პარვუს ჯგუფმა“ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ ერთობლივად დაიწყეს ბასრა 1, ბასრა 2 და ბასრა 3 ჰესების კასკადის განვითარება. პროექტი მიმდინარეობს გურიისა და აჭარის რეგიონებში. პროექტის დადგმული ჯამური სიმძლავრე შეადგენს 6,84 მგვტ-ს. საერთო საწარმოში წილები განაწილებულია შემდეგნაირად: შპს პარვუსი ჯგუფი - 50.1%, GEDF- 49.9%. ფონდის მიერ სრულად მოხდა საერთო საწარმოს კაპიტალის შევსება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

<u>შპს “ბორჯომჰესი”</u>

პარტნიორ(ები):

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს შპს “ბორჯომჰესის” 100% წილს.

ადგილმდებარეობა: ბორჯომის მუნიციპალიტეტი;

სიმძლავრე: 11.80 მგვტ.;

გამომუშავება: 43.33 მლნ კვ.სთ;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 14 მარტის # 496 განკარგულებით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ დავალებული აქვს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მინერალური წყლის პარკში მდებარე ჰიდროელექტროსადგურის, როგორც ინდუსტრიული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, აღდგენა და დამატებით პლატოჰესის საპროექტო-სამშენებლო სამუშაოების მომზადება. პროექტის განვითარების მიზნით სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და საქართველოს მთავრობას შორის 2018 წლის 29 ივნისს გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. ახალი ჰიდროელექტროსადგურის პროექტირების ეტაპზე წარმოშობილი სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა არსებული ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის, როგორც მხოლოდ მუზეუმის რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შესაძლებლობა.

სამუზეუმო პროექტის ფარგლებში 2020 წლის 25 ივნისს კომპანიამ გამოაცხადა ელ. ტენდერი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით. აღნიშნულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა სს „სამშენებლო კომპანია ივერთმშენი“. ამჟამად, სრულად დასრულებულია მუზეუმის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2023 წელს მომზადდა მუზეუმის შიდა ნაწილის და ასევე გარე ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტები.

2024 წელს შიდა და გარე კეთილმოწყობის პროექტებზე მოხდა სამშენებლო ნებართვის აღება და ასევე დასრულდა ექსპერტიზები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მთავრობის განკარგულების ცვლილების პროცედურა. განკარგულება რომელიც გაცემული იყო შპს „ბორჯომჰესზე“ უნდა ჩანაცვლდეს ა(ა)იპ „ბორჯომჰესის მუზეუმით“, რომელიც ასევე დაფუძნებულია ფონდის მიერ. ცვლილების შემდგეგ, კეთილმოწყობის და შიდა სამუზეუმო სივრცის მოწყობის სამუშაოებს შეასრულებს ააიპ „ბორჯომჰესის მუზეუმი“. სამუშაოების დაწყების სავარაუდო ვადაა 2024 წლის მეოთხე კვარტალი.

<u>შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“</u>

პარტნიორ(ები):

შპს „ენგურჰესი“- 50%

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“-50%

ადგილმდებარეობა: წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

დადგმული სიმძლავრე: დაახლოებით 600 მგვტ;

შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგური“ დაარსდა ენგურჰესის თაღოვან კაშხალთან მძლავრი ჰიდრომააკუმულირებელი სადგურის პროექტის განხორციელების უზრუნველსაყოფად. პროექტი იყოფა ორ ფაზად. პირველი ფაზის მიხედვით, მომზადდა წინარე ტექნიკური-ეკონომიკური კვლევა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე გადაწყდა მეორე - სრული ტექნიკური-ეკონომიკური კვლევის მომზადება. პროექტის ფარგლებში გაფორმებულია ხელშეკრულება კომპანია „შტუკთან“ .

2023 წლის 31 იანვარს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაწყვეტილებით, ფონდს ეცნობა ზემოხსენებული პროექტის გაგრძელების შესახებ. ამავე წლის 28 ივნისს ფონდი გახდა შპს „ენგურის ჰიდრომააკუმულირებელი ელექტროსადგურის'' 50% წილის მფლობელი.

2024 წლის ივნისში კონტრაქტორმა კომპანიამ დაასრულა კვლევა. ანგარიში ფონდის მიერ წარედგინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, რის საფუძველზეც მოხდება სამომავლო სამუშაო გეგმის შემუშავება.

<u>შპს “ჩორდულა ჰესი”</u>

პარტნიორ(ებ)ი

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 45%

შპს „რაჭაენერჯი“- 55%

ადგილმდებარეობა: ონის მუნიციპალიტეტი

სიმძლავრე: 1.97 მგვტ;

კომპანიას, საქართველოს მთავრობასა და სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“ (ესკო) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა 2018 წლის 12 თებერვალს, ხოლო 2020 წლის 16 იანვარს ხელი მოეწერა სამშენებლო ფაზაზე გადასვლის შესახებ ხელშეკრულებას.

2020 წლის 10 აგვისტოს, მიღებულ იქნა ჰიდროელექტროსადგურის (სააგრეგატე შენობა და ორი სათავე ნაგებობა) მშენებლობის ნებართვა, ხოლო ონის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 15 აპრილის ბრძანებით ჩორდულა ჰესი მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში.

2022 წლის 11 მაისიდან ჩორდულა ჰესი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დარეგისტრირდა კვალიფიციურ საწარმოდ, როგორც მცირე სიმძლავრის ელექტროსადგური.

<u>შპს “პარვუსი”</u>

პარტნიორ(ებ)ი:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 49.9%

შპს „პარვუსი“- 50.01%

დასახელება: კორშა, როშკა1, ტოლოში და ტოლოში 1

ადგილმდებარეობა: ასპინძისა და დუშეთის მუნიციპალიტეტი;

სიმძლავრე: 4.5 მგვტ;

2022 წელს შპს „პარვუს ჯგუფმა“ და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა“ დააარსეს საერთო საწარმო შპს „პარვუსი“, რომელმაც განახორციელა ოთხი ჰესის მშენებლობა ასპინძისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში.

2023 წლის აპრილის დასაწყისში კომპანიამ დაიწყო სამშენებლო სამუშაოები ოთხივე ჰესზე.

2023 წლის 2 ივნისს შპს პარვუს ჯგუფმა გამოიყენა საპარტნიორო შეთანხმებით გათვალისწინებული ოფცია და სრულად გამოისყიდა ფონდის წილი.

შპს “საქართველოს მზის კომპანია”

პარტნიორ(ებ)ი:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 10%

შპს „შპს ნექსთ ენერჯი“- 90%

ადგილმდებარეობა: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფელი უდაბნოს ტერიტორია;

სიმძლავრე: 6.08 მგვტ;

შპს „ნექსთ ენერჯი“-სა და სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ შორის 2021 წლის 13 სექტემბერს გაფორმდა საპარტნიორო შეთანხმება, რომლითაც განისაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობები პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #288 განკარგულების საფუძველზე მოწონებულ იქნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირებული „უდაბნოს მზის ელექტროსადგურის“ პროექტის კონცეფცია.

2023 წლის პირველ კვარტალში კომპანიამ გაიმარჯვა სიმძლავრის აუქციონში, ე.წ. CFD მექანიზმის ფარგლებში გამოცხადებულ პირველ აუქციონში.

2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში განახლდა პროექტისთვის საჭირო კვლევები და მიმდინარეობს დამფინანსებლებთან პირობების შეთანხმება. ამ ეტაპზე პროექტს მოთხოვნილი აქვს სამშენებლო ეტაპზე გადასვლა და ასევე საპროექტო მიწის არეალის კაპიტალში შემოტანა. პროექტის მშენებლობის დაწყება დაგეგმილია 2024 წლის მეოთხე კვარტალში.

შპს „ ბიომას ენერჯი“

პარტნიორ(ებ)ი:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი “-100 %

ადგილმდებარეობა: ლანჩხუთის და ხობის მუნიციპალიტეტი.

2019 წელს დაიწყო განახლებადი ენერგიის კიდევ ერთი მიმართულების - ბიომასის პოტენციალის შესწავლა. იგეგმებოდა ბიომასაზე მომუშავე თბოსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება, ასევე - ბიომასის ენერგეტიკულ საწვავად გამოყენება. პროექტისათვის საჭირო მიწის ნაკვეთები მოძიებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურსა და ქალაქ ლანჩხუთში.

2023 წელს, ფონდმა შეარჩია საკონსულტაციო კომპანია „Engineering Service for Energy” LTD, რომელმაც მოამზადა წინარე ტექნიკურ-ეკონომიკურ იკვლევა ბიომასის პროექტზე. კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, დადგინდა რომ ამ ეტაპზე პროექტი არ არის ტექნიკურ-ეკონომიკურად მისაღები. ტექნოლოგიის ფასები ვერ უწევს კონკურენციას სხვა ტექნოლოგიებს (ჰიდრო, ქარი, მზე). აღნიშნულიდან გამომდინარე ამ ეტაპზე პროექტის განვითარება შეჩერებულია.

<u>შპს „სოლარე ჯორჯია“</u>

პარტნიორ(ებ)ი:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 10%

შპს „შპს პი-ვი პორტი“- 90%

ადგილმდებარეობა: გარდაბნის მუნიციპალიტეტი

სიმძლავრე: 9.90 მგვტ;

2022 წლის 4 მაისს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდსა“ და შპს „პი-ვი პორტს“ შორის გაფორმდა საპარტნიორო შეთანხმება, რომლის მიხედვიდაც განსაზღვრულია 9.9 მგვტ სიმძლავრის ახალი სამგორის მზის ელექტროსადგურის პროექტის განვითარება. 2022 წლის 1 ივლისს დაფუძნდა ერთობლივი საწარმო შპს „სოლარე ჯორჯია“, რომელმაც აგვისტოს თვეში მიმართა საქართველოს მთავრობას „განახლებადი წყაროებიდან ენერგიის წარმოებისა და გამოყენების მხარდაჭერის სქემის (ჰიდროელექტროსადგურები) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 2 ივლისის N403 დადგენილების ფარგლებში კვლევითი მემორანდუმის გაფორმების მიზნით.

აღნიშნულმა პროექტმა 2024 წელს გაიმარჯვა CFD აუქციონში. ასევე შეტანილია ქსელზე მიერთების განაცხადი სსე -ში და მოთხოვნილია საპროექტო მიწის არეალის კაპიტალში შემოტანა.

<u>სს “ნამახვანი”</u>

პარტნიორ(ებ)ი:

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“ ფლობს სს ნამახვანის აქციების 100 %-ს.

ადგილმდებარეობა: მდ. რიონი, წყალტუბოსა და ცაგერის მუნიციპალიტეტები;

დადგმული სიმძლავრე: 433 მგვტ;

სავარაუდო წლიური გამომუშავება: 1496 გგვტ.სთ;

2019 წლის 25 აპრილს საქართველოს მთავრობასა და შპს “ქლინ ენერჯი გრუფ ჯორჯიას” („შპს ენკა რინიუებლზ“) შორის ხელი მოეწერა ნამახვან ჰესების კასკადის მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების

ხელშეკრულებას და, ამასთან ერთად, სს “ნამახვანის” აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებას.

2021 წლის 20 სექტემბრის წერილით, შპს „ენკა რინიუებლზმა“ აცნობა საქართველოს მთავრობას გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, საქართველოს მთავრობის მხრიდან ვალდებულებების დარღვევისა და ფორს-მაჟორული გარემოებების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში აღმოუფხვრელობის გამო. დავა მიმდინარეობს საერთაშორისო არბიტრაჟში.

<u>პროექტი: საქართველოს საჯარო სკოლებში(თბილისისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი) მზის ფოტოვოლტური ენერგიის დანერგვის პროექტი</u>

ადგილმდებარეობა: ქალაქი თბილისი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი;

დადგმული სიმძლავრე: 200 კვტ.

2020 წლის 27 ივლისს ლიეტუვურმა კომპანია სს „Via Solis”-მა (შემდგომში „პარტნიორი“) მიმართა სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ (შემდგომში „ფონდი“) და შესთავაზა, ქალაქ თბილისისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მცირე ზომის ელექტროსადგურების პროექტის განხორციელების მიზნით, ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ საგრანტო კონკურსში თანამონაწილეობა.

2021 წლის 19 აპრილს სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდს“ ეცნობა, რომ ფონდისა და პარტნიორი ლიეტუვური კომპანიის ერთობლივად შემუშავებულმა პროექტმა მოიპოვა ლიეტუვის გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ გამოყოფილი გრანტი 225 000 ევროს ოდენობით. პროექტი ითვალისწინებდა შემდეგი ბენეფიციარი სკოლებისთვის მზის ფოტოვოლტური სისტემების დამონტაჟებას: გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქ. თბილისის №51 საჯარო სკოლა, ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლა, ქ. თბილისის №200 საჯარო სკოლა, ქ. ლანჩხუთის №1 საჯარო სკოლა და ქ. ლანჩხუთის №3 საჯარო სკოლა. პროექტი წარმატებით დასრულდა 2023 წელს.

2023 – 2024 წლის პროექტები:

<u>შპს ქუთაისი ენერჯი ჯგუფი</u>

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“- 10%

შპს შპს „ვინდ ენერჯი გრუპი“- 90%

სავარუდო დადგუმილი სიმძლავრე: 45 მგვტ.

2023 წლის 5 დეკემბერს შპს „ვინდ ენერჯი გრუპი“-მ მიმართა ფონდს ქუთაისის მუნიციპალიტეტის სოფელ გოდოგანის მიმდებარედ ქარის ელექტროსადგურის პროექტის განვითარებაში თანამშრომლობის მიზნით, რაც მოიცავდა ერთობლივი საწარმოს დაფუძნებასა და პროექტის პირველი ეტაპის მომზადებისათვის საჭირო კვლევების განხორციელებას. 2024 წელს დაფუძნდა ფონდისა და შპს „ვინდ ენერჯი გრუპი“- ის შვილობილი კომპანია, რომელმაც მიიღო მონაწილეობა სიმძლავრის (ე..წ CFD) აუქციონში. კომპანია გეგმავს კვლევითი მემორანდუმის ხელმოწერას და პროექტისთვის საჭირო კვლევების ჩატარებას.

უშუქო სოფლების იდენტიფიკაციისა და ელექტროფიკაციის პროექტი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დავალების შესაბამისად, ფონდმა უზრუნველყო ელექტროენერგიის გარეშე არსებული დასახლებების იდენტიფიცირების და შემდგომში მათი ელექტროენერგიით მომარაგებისთვის საჭირო ღონისძიებების შესწავლის მიზნით შესაბამისი მომსახურების შესყიდვა.

2024 წლის პირველ კვარტალში დასრულდა კვლევები და შედეგები წარდგენილი იქნა ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასევე ფონდის მენეჯმენტის მხრიდან მოხდა ყველა მუნიციპალიტეტის მერებთან შეხვედრა და აღნიშნული კვლევის დეტალურად გაცნობა. პარტნიორთან ერთად უნდა მოხდეს სამომავლო ნაბიჯების დაგეგმვა.

აბასთუმნის მზის პანელების პროექტი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სსიპ ,,მუნიციპალური განვითარების ფონდი’’ დაბა აბასთუმანში ახორციელებს ურბანული განახლებისა და აბასთუმნის თანამედროვე კურორტად ფორმირების პროექტს, რომლის ნაწილს წარმოადგენს ავტოტრანსპორტის სადგომის მოწყობა. მწვანე ენერგიის პოპულარიზაციის თვალსაზრისით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თხოვნით, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ავტოსადგომის ტერიტორიაზე მზის ელექტროსადგური განთავსების სრული ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომზადება, შემდგომში პროექტის განხორციელების შეფასების მიზნით. ფონდის დაკვეთით, ადგილობრივმა საკონსულტაციო კომპანია ენოვუსმა მოამზადა დეტალური პროექტი, რომელიც გადაეცა ადიგენის მუნიციპალიტეტს.

„საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის“ გაწევრიანების პროექტი მწვანე კლიმატის ფონდში (Green Climate Fund)

2021 წელს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარდგინებით დაიწყო მწვანე კლიმატის ფონდში აკრედიტაციის პროცესი. ამ მიზნით, მწვანე კლიმატის ფონდს ენერგეტიკის განვითარების ფონდმა მიმართა განაცხადით - GEDF accreditation Gap Assessment Support. მწვანე კლიმატის ფონდმა დააკმაყოფილა ენერგეტიკის განვითარების ფონდის მოთხოვნა და readiness and preparatory support საკუთარი ხარჯებით gap assessment support-ის მომზადება დაუკვეთა საკონსულტაციო კომპანია Price Waterhouse Coopers (PwC). საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის თანამშრომლებმა აქტიურად იმუშავეს საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებთან და მიმდინარე წლის ზაფხულში კონსულტანტებმა წარმოადგინეს gap assessment report, ასევე სამოქმედო გეგმა. მას შემდეგ რაც სს ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდ“-ს კონსულტანტებმა გადასცეს სამოქმედო გეგმა, ფონდმა განმეორებით მიმართა მწვანე კლიმატის ფონდის სამდივნოს ტექნიკური დახმარების განაცხადით, რის საფუძველზეც სამდივნომ დააკმაყოფილა readiness and preparatory support programme proposal და სს ,,საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდ“- ს დაუქირავა საკონსულტაციო კომპანია Abt associaties, რომელიც უზრუნველყოფს ფონდის გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების, ასევე გენდერის პოლიტიკების დანერგვას მწვანე კლიმატის ფონდის მოთხოვნების და სტანდარტების შესაბამისად.

ფონდმა წარმატებით გაიარა preliminary checklist ეტაპი და ამჟამად მწვანე კლიმატის სამდივნოსთან ერთად მუშაობს აკრედიტაციის პირველ ეტაპზე, რაც გულისხმობს გარკვეული დოკუმენტების დაზუსტებას. (Institutional assessment and comletness check).

ენერგეტიკის მენეჯმენტის ელექტრონული სისტემა

ფონდი აქტიურად მუშაობს ენერგეტიკის მენეჯმენტის ელექტრონული სისტემაზე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მოახდინოს საქართველოს ენერგეტიკული პოტენციალისა და არსებული დარგობრივი ინფრასტრუქტურისა და მშენებლობისათვის კანონით განსაზღვრული შეზღუდვის არეალების ანალიზი, ამის საფუძველზე კი ენერგეტიკული ობიექტის განთავსების ლოკაციის ეფექტურად განსაზღვრა. უზრუნველყოფილი იქნება გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. უზრუნველყოფილ იქნება საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამქვეყნება.

ამ ინსტრუმენტის გამოყენებით შესაძლებელი გახდება პროექტის ინიცირება და შემდგომი პროცესების მართვა ენერგეტიკული პროექტის სასიცოცხლო ციკლის სრული პროცესის (წინარე ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; ხელშეკრულება; ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა; მშენებლობა, ექსპლუატაცია, ექსპლუატაციის შემდგომი პროცესები) განმავლობაში.

პატარძეულის მზის ელექტროსადგური

სავარუდო დადგუმილი სიმძლავრე: 25 მგვტ.

2023 წლის 31 დეკემბერს ინვესტორმა (შპს „მზის ველი“) მიმართა ფონდს კახეთის რეგიონში, საგარეჯოს რაიონში, სოფელ პატარძეულთან პოტენციური მზის ელექტროსადგურის პროექტის ერთობლივად განვითარების თხოვნით. ფონდის მიერ პირველადი კვლევების შეფასების შემდგომ მოწონებულ იქნა პროექტი. ამ ეტაპზე ხელი მოეწერა საპარტნიორო ხელშეკრულებას.

3. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა

ფონდის მთავარი მიზანი არის საქართველოში ენერგეტიკული პროექტების განვითარება. ფონდის სტრატეგიაა განხორციელებული პროექტებიდან გამოსვლა და არ ცდილობს ოპერირების ფაზაში პროექტებში წილების შენარჩუნებას. აღნიშნული სტრატეგიის და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე მომგებიანობის კოეფიციენტების განსაზღვრა და წინა პერიოდებთან შედარება შესაძლებელია არ იყოს რელევანტური.

4. განვითარების გეგმები

ფონდი 2024 წლისთვის პრიორიტეტულ სტრატეგიულ ამოცანებად განიხილავს:

- **ხარისხიანი პროექტების დამუშავებას,** რომელიც გულისხმობს პროექტის საინვესტიციო და საინჟინრო-ტექნიკური ნაწილის ხარისხიანი დამუშავების უზრუნველყოფას, პროექტის რენტაბელობის, მიზანშეწონილობისა და გარემოსთან თავსებადობის ანალიზსა და პროექტის მარკეტინგული კომპონენტის დამუშავებას.

- **პროექტების განხორციელების უზრუნველყოფას,** რაც გულისხმობს პროექტების განხორციელებისთვის საჭირო, სწორი ტექნიკური ამოცანების დასმას; გრძელვადიანი ურთიერთობის განვითარებას პროვაიდერებთან და მათი მუშაობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას; პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ქმედებების დროულ და ეფექტიან შესრულებას.

- **პროექტის განვითარების შესაძლებლობის გამოვლენას,** რაც მოიცავს ბუნებრივი რესურსების

პოტენციალის, როგორც კაბინეტურ, ისე საველე კვლევებს, ანალიზს და შეფასებას; ასევე გარე პირებისგან შემოსული წინადადებებიდან რენტაბელური და კომერციული ალტერნატივების შერჩევას.

მოცემული ამოცანების შესასრულებლად და შემდგომი განვითარებისთვის, საინვესტიციო პროექტების ნაწილში, თითოეული პროექტის დასახული გეგმების გარდა, ჯგუფი აქტიურად განიხილავს ახალ პროექტებს.

ფონდი ასევე, აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან პროექტების დაფინანსების კუთხით.

5. ძირითადი რისკები და მათი გამანეიტრალებელი ღონისძიებები

საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის არსებული რისკებია:

ქვეყნის და რეგიონული რისკები.

ქვეყანასა და რეგიონთან დაკავშირებულ რისკებს მიეკუთვნება რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს კანონმდებლობის, საგადასახადო პოლიტიკის, სახელმწიფო რეგულირების პირობების შეცვლასთან.

ფინანსური რისკები:

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური დანაკარგების რისკს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო.

ლიკვიდურობის რისკი - ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ჯგუფის მიერ თავისი საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ჯგუფი შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ყოველივე ამან შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ჯგუფის ფუნქციონირების უწყვეტობაზე და მისი საქმიანობის შედეგებზე.

ჩვეულებრივ, ფონდი უზრუნველყოფს საკმარისი ფულადი სახსრების არსებობას მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების დასაკმაყოფილებლად, ფინანსური ვალდებულებების შესრულების ჩათვლით; აქ არ გაითვალისწინება იმ გარემოებების პოტენციური ზემოქმედება, რომლებიც არ შეიძლება იყოს წინასწარ განსაზღვრული, ისეთი როგორც ბუნებრივი კატასტროფები.

ზემოაღნიშნული რისკების შესახებ და ზოგადად, ფონდის რისკის მართვის მექანიზმების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ იხილოთ ფონდის 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (შენიშვნა N17), რომელიც დამტკიცდა 2024 წლის 22 ივლისს.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს ფონდის შემოსავალზე ან მის საკუთრებაში არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის ჯგუფზე ზემოქმედების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზაციასთან ერთად.

ჯგუფის ძირითადი რისკების მართვა და მათი გამანეიტრალებელი ღონისძიებები:

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საინვესტიციო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება იმისათვის, რომ მოხდეს იდენტიფიცირებული რისკების სწორი ადრესაცია და რისკის მართვის კუთხით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ პროექტებზე და მოიცავს ინდივიდუალური ინვესტორის მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის სისტემას შესუსტებული ინვესტიციის იდენტიფიცირების და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მიღების მიზნით.

ეს მმართველობის ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 ივლისს:

დირექტორი ჯაბა ხმალაძე

ფინანსური დირექტორი გიორგი ჩაჩიბაია

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ცვლილებები საბაზრო ფასებში, როგორიცაა უცხოური ვალუტის კურსი, საპროცენტო განაკვეთები და კაპიტალის ფასები, გავლენას მოახდენს ფონდის შემოსავალზე ან მის საკუთრებაში არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია ბაზარზე არსებული რისკის ჯგუფზე ზემოქმედების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, შემოსავლის ოპტიმიზაციასთან ერთად.

ჯგუფის ძირითადი რისკების მართვა და მათი გამანეიტრალებელი ღონისძიებები:

ჯგუფი იყენებს მონიტორინგის გამართულ სისტემას, რათა სწრაფად მოახდინოს რეაგირება მაკრო და მიკრო მოვლენებზე. მონიტორინგის სისტემა ასევე საშუალებას იძლევა მოხდეს საინვესტიციო პორტფელში სისუსტეების იდენტიფიკაცია, რის შემდეგაც ხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება იმისათვის, რომ მოხდეს იდენტიფიცირებული რისკების სწორი ადრესაცია და რისკის მართვის კუთხით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღება. მონიტორინგის პროცესი მორგებულია ცალკეულ პროექტებზე და მოიცავს ინდივიდუალური ინვესტორის მონიტორინგს, პორტფელურ მონიტორინგსა და გარე ტენდენციების ანალიზს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს პორტფელის ხარისხზე. ამასთან ჯგუფი იყენებს პორტფელის ზედამხედველობის სისტემას შესუსტებული ინვესტიციის იდენტიფიცირების და საჭიროების შემთხვევაში გამოსასწორებელი ზომების მიღების მიზნით.

ეს მმართველობის ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაცემად და ხელი მოეწერა ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 22 ივლისს:

დირექტორი ჯაბა ხმალაძე

ფინანსური დირექტორი გიორგი ჩაჩიბაია